№85
(11 131)
29 – 31 ოქტომბერი, 1997 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება სპორტის ყველა სახეობაში საამაყოა, მაგრამ კრივში განსაკუთრებით. ახლა ჩვენ ერთით მეტ სპორტის სახეობას ვითვლით, სადაც მსოფლიო ჩემპიონი გვყავს და ერთით ნაკლები გახდა სპორტის ის სახეობები, სადაც ეს დიდი სპორტული ტიტული ჯერ არ მოგვიპოვებია!**
**ქართველი მოკრივე *გიორგი კანდელაკი* მსოფლიო ჩემპიონია! *კობა გოგოლაძე* ბუდაპეშტში გამართული ამ ასპარეზობის მესამე პრიზიორია! ვულოცავთ!**

* * *

გიორგი კანდელაკმა ფინალური პაექრობა ქულებით 4:1 მოუგო კუბელ მძიმეწონოსან ალექსის რუბალკაბას.
ოქროს მედლები ასე განაწილდა: რუსეთი – 4, კუბა – 3, უნგრეთი – 2, საქართველო, უზბეკეთი და რუმინეთი – თითო. ახლა ამ უმაღლესი ჯილდოს წყალობით საქართველო III-V ადგილს იყოფს მსოფლიოში.




გიორგი კანდელაკი

## რედაქტორის კომენტარი

ასე მქუხარედ [illegible] საქართველო სპორტში ჯერ არავის განუდიდებია. მეტიც, ჩვენი ქვეყანა ახლა იქნებ სწორედ კრივმა და გიორგი კანდელაკმა უფრო ახლოს გააცნო სამყაროს.

6 წელიწადზე მეტია სპორტის ოლიმპიურ სახეობაში არ გვყოლია მსოფლიო ჩემპიონი. დასაბამიდან დღემდე კი საქართველო ჯერაც არ იცნობდა თავის ჩემპიონს სპორტის ამ სახეობაში. კრივი კი ანტიკური ოლიმპიური თამაშების შემადგენელიც იყო და იმ ხანებში მუშტით პაექრობა უცხო არც ჩვენი შორეული წინაპრებისთვის ყოფილა. სიმბოლურია, რომ პირველი ხნული თავის სამშობლოს სახელთან წილნაყარმა ათლეტმა გაავლო, რითაც ეს წარმატება კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადა.

შიდა ქართლი ქვეყნის ბურჯი იყო ისტორიულად და ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის მის რჩეულ ადამიანებზე. გორიც და ვარიანიც ამ მხრივ განსაკუთრებულია. ამიერიდან ვარიანს ღირსეულ მამულიშვილებთან ერთად გიორგი კანდელაკის სახელითა და ღვაწლითაც მოიხსენიებენ. დღეს ჩვენ შეიძლება სრულად კიდევ ვერ გაგვიაზრებია ვარიანელი რაინდის წარმატება. მომავალი მის დამსახურებას გაცილებით უკეთ დააფასებს, საერთოდ, ასეთია ერის რჩეულთა ხვედრი.

გიორგი კანდელაკის ადრინდელმა წარმატებებმა კრივისადმი ლტოლვა და სიყვარული ვარიანს და მთელ რაიონს მოსდო. მოზარდებისა და ახალგაზრდების საწადელის ამხდენი რაკი სხვა არავინ იყო, გიორგიმ მათ დაოსტატებას თავად მოჰკიდა ხელი. წარმოიდგინეთ, იგი ბოლო ხანებში თავადვე იყო თავისი თავის მწვრთნელი და შეგირდებთან ერთად იწვრთნებოდა რინგზე. ასე იქცა ვარიანი ქართული კრივის ერთ საიმედო ცენტრად. ახლა? ახლა წარმოუდგენელიც კია რა მოხდება – სოფლის კრივის ერთი სკოლა რადას აუვა მსურველებს. ამიტომ ვაცხადებთ, ვისაც ქართულ სპორტზე შესტკივა გული, ახლა ეძლევა ბრწყინვალე შესაძლებლობა საქმით დაამტკიცოს ამ სიყვარულის ჭეშმარიტება. ყველაზე კარგი მომენტია საიმისოდ, რომ კრივის სკოლები გაიხსნას შიდა ქართლის სხვა რაიონებში და სოფლებშიც. სპეციალისტები კი უთუოდ წავლენ სამუშაოდ. მათი საერთო კონსულტანტი თვით მისი აღმატებულება, მსოფლიო ჩემპიონი იქნება. არა, ვერც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ვერც ჩვენი რომელიმე სპორტული საზოგადოება ამას ფინანსურად ვერ შეძლებს. მხოლოდ ფირმები და ბიზნესმენები თუ გაიღებენ მოწყალებას, სულაც, იქნებ ადგილებზე გამოინახოს ამის შესაძლებლობა. ერთი რამ ყველამ კარგად დავიმახსოვროთ, დღეს ჩვენ თითქმის ისეთსავე ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ამ 35 წლის წინათ ნონა გაფრინდაშვილმა ჩვენი ჭადრაკის ისტორიაში პირველმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა, მერე კი რაც მოხდა, ამ გამარჯვებამ რა გზებით გვატარა და სადამდე მიგვიყვანა, ყველამ კარგად იცის. თუნდაც დღევანდელი დღე აიღეთ, ნონას იმ ბრწყინვალე წარმატებიდან ათეული წლების შემდეგ, ჭადრაკის სამყარომ პირველად დააპირისპირა ერთმანეთს მამაკაცები და ქალები ვაჟთა მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატში და ადრე რაც თითქმის წარმოუდგენელი იყო, მხოლოდ ქართველ ქალთა ავტორიტეტით იქცა რეალობად.

დიახ, ქართული კრივი დღეს დიდ გზაზეა შემდგარი, მეღროშეც ჭეშმარიტად სამაგალითო რაინდი ჰყავს. „ლელო" მოუწოდებს სპორტის მესვეურებს, ბიზნესმენებს, ყველას, ვისაც მაღალი სპორტული წარმატებები ეროვნულ სიამაყედ მიაჩნია, ამ აღფრთოვანებას ისე ნუ გავანელებთ, რომ ისტორიაში გარდა სტატისტიკისა, არაფერი დარჩეს. სწორედ ახლა, გადაუდებლად უნდა შემუშავდეს საქართველოში კრივის განვითარების ეროვნული პროგრამა და გამოინახოს მისი რეალიზაციის შესაძლებლობები.

აი, მერე ნახეთ, რა მოხდება!

## რუსუდან ხოფერია და ანა დოლონაძე – მსოფლიო ჩემპიონები!



ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციაში შემავალი სპორტის სახეობები ადრე საკმაოდ გვანებივრებდნენ წარმატებებით და შემდგომშიც, ჩვენს გაჭირვებულ ყოფაში თუ ვინმემ შეინარჩუნა სიცოცხლისუნარიანობა, ერთი მათგანი ეს ფედერაციაც იყო. და აი, კვლავ ახალი სიმაღლე – ბატუტზე ხტომის ჩვენი ოსტატები რუსუდან ხოფერია და ანა დოლონაძე სინქრონულ ხტომებში მსოფლიო ჩემპიონები არიან! ეს ასპარეზობა ეინდჰოვენში (ჰოლანდია) გაიმართა.

**სურათზე:** ანა დოლონაძე (მარცხნივ) და რუსუდან ხოფერია

## ედუარდ შევარდნაძემ მიიღო უეფას პრეზიდენტი

– ჩემი სტუმრობა მიზნად ისახავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებასა და თქვენს ქვეყანასთან ჩემი მოღვაწეობის ერთ-ერთ სფეროში, კერძოდ, სახმელეთო ნაღმების მსხვერპლთა დახმარების სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, – განაცხადა 28 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე თბილისში ჩამოსულმა უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა.

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების, საერთოდ, სპორტის ამ სახეობის განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე საუბრისას საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამჟამად დამუშავების სტადიაშია ფეხბურთის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გრძელვადიანი პროგრამა, რომელშიც აისახება როგორც დარგის გამოცოცხლებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების გზები, ასევე უეფას ხელმძღვანელობის თხოვნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების თაობაზე.

ლენარტ იუჰანსონმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს გააცნო როგორც მისი ორგანიზაციის საქმიანობის, ასევე მისი თაოსნობით სახმელეთო ნაღმების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ძირითადი ასპექტები. მან გამოთქვა მზადყოფნა თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციისათვის უეფას მხრიდან დახმარების გაზრდის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ სტადიონის რეაბილიტაციის პირველ ეტაპზე უეფამ 200 ათასი შვეიცარული ფრანკი გამოყო. ლენარტ იუჰანსონმა გამოთქვა რწმენა, რომ უახლოეს მომავალში არა მხოლოდ ეროვნული სტადიონი იმუშავებს ევროპული სტანდარტებით, არამედ ეროვნული საფეხბურთო ნაკრებიც დაიმკვიდრებს საერთაშორისო ასპარეზზე უწინდელ პრესტიჟს.



შეხვედრაზე ყურადღება მიეპყრო ახალგაზრდა ფეხბურთელების მომზადების საკითხს. ითქვა, რომ ფეხბურთელთა უცხოეთში გადასვლის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია სპეციალური ღონისძიებების შემუშავება, ასევე საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებთან.

„ფეხბურთი ჯანსაღი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია. მსურს დიდი მადლობა გადაგიხადოთ მისი როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო და ევროპული მასშტაბით განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის", განუცხადა ედუარდ შევარდნაძემ ლენარტ იუჰანსონს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი

## მთავარი ფავორიტი? ვინ იცის!

### ლიუცერნში მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობს მსოფლიოს გუნდური პირველობა ჭადრაკში

უკანასკნელ მომენტში შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა აფრიკის ჩემპიონმა – ეგვიპტის ნაკრებმა. მის ნაცვლად გამოდის სომხეთის ნაკრები, რაც მიმომხილველთა აზრით კიდევ უფრო გაამწვავებს ბრძოლას.

პირველ ტურში ჩინებულად ითამაშა საქართველოს ქალთა ნაკრებმა, რომელიც აზიის ჩემპიონს ყაზახეთის გუნდს ხვდებოდა. ყაზახეთის ნაკრებს, მართალია, არა ჰყავს დიდოსტატი, მაგრამ ძლიერი საერთაშორისო ოსტატებისაგან შედგება. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძემ თეთრებით შემტევი სტილით მოუგო კაცურს, დანარჩენი სამი პარტია კი ყაიმით დასრულდა. ამრიგად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 2,5:1,5 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ.

რუსეთის ნაკრებმა დიდი ანგარიშით 3,5:0,5 გაიმარჯვა კუბელებთან, სომხებმა შვეიცარიელებთან (2,5:1,5). ინგლისელებმა, რომლებიც პირველი ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტებად ითვლებიან, მოუგეს ხორვატებს – 3:1. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი ძლიერი ნაკრების – აშშ-სა და უკრაინელების შეხვედრას, რომელიც ამერიკელების გამარჯვებით დასრულდა. – 2,5:1,5.

მეორე ტურში საქართველოს ნაკრებმა უკრაინელებთან მარცხი განიცადა – 0,5:3,5. ჩვენებს ოთხი ცნობილი დიდოსტატი დაუპირისპირდა. მაია ჩიბურდანიძე შავებით დამარცხდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკე ვასილი ივანჩუკთან, ნანა იოსელიანი – ალექსანდრ ონიშჩუკთან, ქეთევან არახამია – ვალერი სავჩენკოსთან. მეოთხე დაფაზე ნინო გურიელი ყაიმზე შეუთანხმდა იგორ ნოვიკოვს. ცენტრალური შეხვედრა რუსეთისა და სომხეთის ნაკრებებს შორის დასრულდა ყაიმით – 2:2, ინგლისელებმა კვლავ გაიმარჯვეს, ამჯერად შვეიცარიელებთან – 2,5:1,5. ყაზახებმა დაამარცხეს კუბელები – 2,5:1,5, ხოლო აშშ-ს გუნდმა, საკმაოდ მოულოდნელად, ვერაფერი დააკლო ხორვატებს – 2:2.

მესამე ტურში საქართველოს ქალთა ნაკრებმა კვლავ კარგად ითამაშა, დაამარცხა ხორვატიის გუნდი ანგარიშით 2,5:1,5 და ახლა 5,5 ქულით მეშვიდე ადგილზეა. ჩვენები უსწრებენ ხორვატიის, ყაზახეთისა და კლუბის ნაკრებებს.

## „კრეტას დიდ პრიზზე"

ასე ეწოდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირს, რომელიც საბერძნეთის ამ კუნძულზე ჩატარდა. მასში ევროპის ქვეყნების ბევრი დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა, ამასთან, ვაჟებთან ერთად ქალებიც ასპარეზობდნენ.

ჩინებულად ითამაშეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, დიდოსტატმა მაია ლომინეიშვილმა და თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტმა, ეროვნულმა ოსტატმა ეკა ჯავახიშვილმა, მათ 9 შესაძლებლიდან 5-5 ქულა მოაგროვეს და ქალთა შორის პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს.

ამავე ტურნირში წარმატებით ითამაშა 17 წლის თბილისელმა ეროვნულმა ოსტატმა დავით შენგელიამ, რომელმაც ასევე 5 ქულა მოაგროვა.

ახლა ჩვენი მოჭადრაკეები. მონაწილეობენ კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც კრეტაზე მიმდინარეობს.

## ძოძუაშვილს ლატვიის ნაკრები ჩააბარეს

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მეორე მწვრთნელი **რევაზ ძოძუაშვილი** დაინიშნა ლატვიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად.

ჭადრაკი

პრობლემებიდან – რეალობისაკენ!

# მოცურავეები წყალში ჩადიან...

## იმედებს კი ჯერჯერობით ოკეანისგაღმა მოვარჯიშე ჩვენს თანამემამულეებზე ამყარებენ

***ყველამ კრაგად იცის, რომ საქართველოში დღეს სპორტის ბევრ სახეობას უჭირს. მათ შორისაა ცურვა. გვესაუბრება საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ირინა მინჭულინა***

— მდგომარეობა ძალიან რთულია, რაც ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური ვითარებითაა გამოწვეული. საცურაო აუზი გაზის, წყლისა და ელექტროენერგიის გარეშე, ცხადია, ვერ იმუშავებს — ამბობს ი. მინჭულინა.

● *1996 წლიდან როგორც იქნა ამუშავდა აუზი სანაპიროზე „ლაგუნა „ვერე“, როგორი პირობები გაქვთ?*

— დიახ, მოგვეცა სრულწლიური ვარჯიშის შესაძლებლობა. მანამდე კი გოგონები თითქმის აღარ ვარჯიშობენ. დღეისათვის ნაკრებში მხოლოდ ერთი გოგონაა. ისიც ასაკით უმცროსია. არადა, ტრადიცია იყო. გავიხსენოთ თინათინ ლეკვეიშვილი, ირინა გერასიმოვა და სხვები. გარდა თბილისისა არც ერთ ქალაქში, ფაქტობრივად არც ერთი აუზი არ მუშაობს. რომელიმე მათგანი ერთი ორი თვით თუ გაიხსნება და მერე ისევ იკეტება. აუზების აღდგენა, ცხადია, დაკავშირებულია დიდ ფინანსურ სიძნელეებთან. დავიწყებას მიეცა ტრადიციები რუსთავში, ბათუმში, სხვებზე აღარაფერს ვამბობ.

● *ჰყავს კი დღეს საქართველოს ნაკრები გუნდი?*

— დიახ ჰყავს. მათგან 2 მოცურავე — ზურაბ ბერიძე და ზურაბ ხომასურიძე იმ კანდიდატთა შორისაა, რომლებიც 2000 წლის ოლიმპიადისთვის ემზადებიან.

● *საერთაშორისო ტურნირებში თუ გიწევთ მონაწილეობა?*

— მიწვევები ბევრი გვაქვს, მაგრამ უსახსრობის გამო მეტწილად შინ ვრჩებით. არადა, ტურნირების გარეშე სპორტსმენი ვერ აიმაღლებს ოსტატობას.

● *შედეგებზე რას იტყვით?*

— შედეგები ურიგო არ გვაქვს. ზურაბ ბერიძე ოსტატია, ხომასურიძე კი თითქმის მიუახლოვდა ამ ნორმატივს. ხომასურიძე გამოდიოდა ორ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ეს ძალიან ცოტაა. იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე იგი ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ საკუთარი შედეგი ძალიან გააუმჯობესა. ზურაბი ცხოვრობს და სწავლობს ამერიკაში, მონდომებით ვარჯიშობს და მისი დიდი იმედი გვაქვს. შეჯიბრებებში მხოლოდ საქართველოს სახელით ასპარეზობს.

● *მომავლის გეგმებზე რას იტყვით?*

მთავარია, იმ ორმა სპორტსმენმა შეასრულოს ოლიმპიური საკვალიფიკაციო ნორმატივი. ეს რეალობად მიმაჩნია. ზურაბ ხომასურიძე რამდენიმე ტურნირში ისპარეზებს, რაც მას დიდად გამოადგება ევროპის იუნიორთა მომავალ ჩემპიონატისათვის უკეთ მომზადებაში.

მინდა აღვნიშნო, რომ მოდის პერსპექტიულ სპორტსმენთა ახალი თაობა. გამოვყოფდი უჩა სართანიას, ლევან ბერიძეს, ლევანის ოჯახი ამჟამად ამერიკაშია, ისიც იქ ვარჯიშობს და სწავლობს. დავასახელებ აგრეთვე ლევან ჯანჯღავას. ამ ჭაბუკებს უკვე შეუძლიათ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა და თანატოლებთან ღირსეული პაექრობა.

**ნინო ვაშაკიძე**

# ნოდარ გუგუშვილის არდავიწყება



ეს ორი თარიღი შემთხვევით არ დაემთხვა ერთმანეთს. ნოდარ გუგუშვილის დაბადებიდან 70 წლისთავი და მისივე ღვაწლის დასაფასებლად ქართულ ენაზე პირველად გამოცემული ოლიმპიური ენციკლოპედიის პრეზენტაცია ერთ მთლიანობაში გააზრებული ღირსსახსოვარი მოვლენაა, რომელიც უდავოდ დაიმკვიდრებს ადგილს ჩვენი ქვეყნის სპორტულ მატიანეში.

ნოდარ გუგუშვილი და ქართული სპორტული ჟურნალისტიკა! ადამიანთა მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროს სახელთან გაიგივებაში, პირველ ყოვლისა, პიროვნების შემოქმედებითი სიმაღლე იგულისხმება. ნოდარ გუგუშვილმა სწორედ რომ ახალ სიმაღლეზე აიყვანა ჩვენში სპორტული ჟურნალისტიკა და შეიძლება თამამად ითქვას, გარკვეულწილად, მისი სტილის, მოვლენათა ყველასთვის გასაგები ენით, მაგრამ ფილოსოფიურად გადმოცემის კანონმდებელი გახდა.

45 წელიწადზე მეტი შესწირა საყვარელ საქმეს. ეს არ იყო ის ღვაწლი, რომელიც მხოლოდ პირადი შემოქმედებით შემოიზღუდება, ნოდარ გუგუშვილი ყველა თანამოკალმის საუკეთესო მეგობარი და ახალგაზრდობის სამაგალითო მასწავლებელი იყო — დიდი მასწავლებელი. დიახ, როცა „ლელოზე“ ამბობენ, სპორტულ ჟურნალისტთა აღზრდის კერა იყოო, პირველ ყოვლისა, მის წამყვან სპეციალისტებს გულისხმობენ, რომელთა შორის ნოდარ გუგუშვილი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. მასთან ყველა შეგირდად გრძნობდა თავს.

მის გვერდით ვერავინ იქნებოდა ქედმაღალი, უაზროდ ამაყი, სხვებისადმი არაკეთილმოსურნე. დიახ, ის თავად იყო სიმაღლე, რომელსაც მისივე დახმარების გარეშე ვერ მიუდგებოდი, მით უმეტეს ვერ შესწვდებოდი. მასთან თამამიც იყავი და მორიდებულიც, შემოქმედებითი ოსტატობით და კაცობით განგაცდევინებდა შენი პროფესიის მაღალ [illegible]ნიერებას. ბუნებით იყო [illegible].




ნოდარ გუგუშვილი უეცრად წავიდა ამ ქვეყნიდან, ისე უჩუმრად, როგორც იცხოვრა. წავიდა დიდი კაცი, დიდი ადამიანი – პიროვნება. ის ყველას მოაკლდა, მაგრამ ოჯახის შემდეგ განსაკუთრებით „ლელოს“ და ლელოელებს, მეგობრებს დააკლდა. დარჩა სიცარიელე, რომელსაც ვერავინ ველარასოდეს შეავსებს, რადგან ნოდარ გუგუშვილს მხოლოდ თავისი წილი ადგილი ეჭირა ჩვენს შორის.

**წერილის** დასაწყისში წიგნი „ოლიმპიური ენციკლოპედია“ და მისი პრეზენტაცია ვახსენეთ. ეს გამოცემა, შეიძლება ითქვას, ნოდარ გუგუშვილის მემკვიდრეობის ერთი ნათელი ნიშანსვეტია. ავტორი ათწლეულობით აგროვებდა მასალებს, კვალდაკვალ მიჰყვებოდა ოლიმპიურ მოძრაობას და აღნუსხავდა ყველაფერს ან თითქმის ყველაფერს მნიშვნელოვანს და, ცხადია, საქართველოს ათლეტთა წვლილს მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში.

ბევრი ოლიმპიური გამოცემა გვინახავს, მაგრამ ასეთი მაღალგემოვნებით შესრულებული, ასეთი მიმზიდველი არქიტექტონიკით და, გნებავთ, ფორმატით, ჯერ არსად და არასდროს შეგვხვედრია. უდავოა, ამ წიგნის სახიერად გამოცემაში თვით ავტორისადმი უდიდესი პატივისცემა და სიყვარული ჩააქსოვა რედაქტორმა ელგუჯა ბერიშვილმა და ცნობილმა მხატვარმა ვახტანგ რურუამ. საგულისხმოა, რომ გარეკანზე სიტყვა „ოლიმპიური“, თვით ნოდარ გუგუშვილის ხელნაწერი ტექსტიდანაა აღებული.

ოლიმპიური ენციკლოპედიის ქართულ ენაზე გამოცემა არა მარტო სპორტული, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ღირსსახსოვარი მოვლენაა. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და ნოდარ გუგუშვილის ოჯახი, ამავე წიგნში, ენციკლოპედიის გამოცემის დაფინანსებისთვის მადლობას უხდიან საქართველოს პრეზიდენტს, ფინანსთა სამინისტროს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, შპს „ყაზბეგს“.

„ქვეყანას კარგი სპორტული წიგნები ისევე სჭირდება, როგორც კარგი სპორტსმენები“ – წერს წინათქმაში გამოცემის რედაქტორი.

ჭეშმარიტად!

**თენგიზ ბაჩიჩილაძე**

# ახალი, კარგად დავიწყებული ძველია

ადგილის დედა თავის გზა-კვალს არ დაკარგავს. 100 და უფრო მეტი წლის წინათაც დიდუბეში, მრავალი საჭიდაო იყო. „იტალიელების ბაღი“ (ეს ბაღი იტალიელებს იჯარით ჰქონდათ აღებული). „გრიშუას ბაღი“ (მას ციციშვილების ანუ „კნიაზების კრუგსაც“ ეძახდნენ. ძველი იპოდრომის პირდაპირ იყო) და სხვა საჭიდაო მოედნები. სადაც უჭიდავია თვით ნესტორ ესებუას, სანდრო კანდელაკს, კულა გლდანელს, ლუკა დადიანიძეს...

სწორედ იმ ძველი საჭიდაოს მიდამოებში დიდუბის რაიონის თავკაცების მონდომებით და მცდელობით თბილისობაზე გაიმართა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში საქართველოს „ბულბულის“ — აკაკი წერეთლის ძეგლის ახლოს, ღია ნახერხდაყრილ არენაზე აჟღერდა ნამდვილი საჭიდაო. ჯერ კიდევ 1888 წელს ილიას „ივერიაში“ აკაკი წერდა:

*„ამდენი ხალხი სად მიდის,*
*ნეტავ რას მიეშურება.*
*საჭიდაოზე მიდიან*
*ხეირის უნდათ ყურება,*
*ვინც ვერ მოასწრებს, იცოდეთ,*
*რომ, მის ბედს დაემდურება“.*

მოსეირეთა არმია არც ამჟამად აკლდა „აკაკის ბაღს“.

უშველებელი ცოცხალი წრე, საჭიდაოს გარშემო მუხლ-მოკეცილი პატარა ბიჭები, შემდეგ ფეხზე მდგომნი, თუ ადრე წრის შიგნით წარჩინებული ქართველი თავადიშვილები ისხდნენ, ამჯერად ყურზე მიბჯენილი მობილურ ტელეფონიანი საქმიანი ადამიანები და მსაჯთა ჟიური იჯდა იქ. ადრე საჭიდაოს ირგვლივ ფაეტონებზე და დროგებზე აიხუნძლებოდნენ ხოლმე მოსეირეები. ამჯერად ახლები „ბუტკების“ სახურავებს შეესივნენ...

ჭიდაობის ინტერესი ერთი-ორად გაზარდა საჩუქრებმა, რომლისთვისაც ფრიად უზრუნიათ მოთავეებს.

პირველი ადგილები და ძვირფასი საჩუქრები მოიპოვეს: მამუკა მაზმიშვილმა (60 კგ) და ძმებმა მამუკა მახათაძემ (70 კგ), ზაზა მახათაძემ (80 კგ). ნუკრი გაგნიაშვილმა (90 კგ) და გიორგი გუგავამ (მძიმე). ყველაზე კარგი საჩუქარი სწორედ გუგავას ხვდა წილად „აკაკის ბაღში“. ძველი დროის და ძველი ტრადიციის უკვდავებაა ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრებების ხანგამოშვებით გამართვა.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ბავშვთა სპორტის პრობლემები

# ექიმის გადასახედიდან

რეფორმებმა სპორტში, განათლებასა და მედიცინაში ათწლეულობით დაგროვილ გამოცდილებას ხაზი გადაუსვა, ტოლფასოვანი ახალი კი ამ სფეროებში ჯერჯერობით არაფერი შექმნილა. სპორტი დაშორდა მეცნიერებას, ეულად დარჩა, მეცნიერული საფუძვლების გარეშეა ორიენტირებული შედეგებზე და სწორედ ამიტომ ოდინდელ კონკურენციას ვერ უწევს მსოფლიო ლიდერებს. სიამაყის გრძნობით რომ ავივსოთ ჩვენი სპორტსმენების წარმატებებით, საჭიროა სპორტი ეროვნული პოლიტიკის რანგში ავიყვანოთ. ერთეული რიგითი ადამიანების მონდომება და გამოცდილება საქმეს არ შველის. ისეთი „ფინანსთშთანმთქმელი“ დარგი როგორიცაა სპორტი, დამხმარე მეცნიერებების — მედიცინის ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის და ა.შ გარეშე წინ ვერ წავა.

სპორტი — სინთეზური სფეროა. ცივილიზებულ ქვეყნებში შექმნილია სპეციალური კვლევითი ინსტიტუტები, მუშაობენ მეცნიერები და მათი კვლევისა და დაკვირვებების შედეგებს უდიდესი ყურადღება ექცევა. ასე იყო ჩვენშიც საბჭოთა ეპოქაში: ახლა ამ მხრივ საქართველოში მდგომარეობა უმძიმესია. სპეციალური კვლევები შეწყდა, მწვრთნელთა უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნებს ზემოხსენებულ დამხმარე მეცნიერების ცოდნაში. სპორტსმენი ნამდვილ პიროვნებად და მებრძოლად უნდა ყალიბდებოდეს, და არა მხოლოდ დინამიური ჩვევების მატარებელ არსებად, რომლის მთავარი კომპონენტი კუნთების ძალაა. თუმცა, ფიზიკური მონაცემების მაქსიმალური გამოვლენა შეუძლებელია სპორტსმენის პიროვნული სრულყოფის გარეშე. ცალმხრივად ადამიანი მხოლოდ გარკვეულ დონემდე ვითარდება. ჩემპიონობა კი მრავალი უპირატესობის მომცველი მცნებაა.

**საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა მკაცრად განსაზღვრული ასაკობრივი ნორმატივები სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით. ამ ასაკის დაბლა ბავშვების სპეციალური ფიზიკური მომზადება არ იყო ნებადართული. ახლა ყოველგვარი ასაკობრივი მიჯნები დარღვეულია. რაც ადრე, მით უკეთესი — თვლიან მწვრთნელები.**

ადრეულ ასაკში არ არსებობს შესასრულებელი ილეთის შიში. პატარები იოლად იძენენ ნებისმიერ დინამიურ ჩვევებს, მით უმეტეს, ისინი, ვისაც კარგი შესაბამისი მონაცემები აქვს. ამ პირობებიდან გამომდინარე დაბალკვალიფიციური მწვრთნელები, მზადების პროცესის გაუმართლებელ ფორსირებას ახდენენ. აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: ბავშვთა ასაკში ტრავმების რაოდენობრივი სიმცირე აიხსნება ძვალსახსროვანი აპარატის და კუნთების მაქსიმალური ელასტიურობით. სამაგიეროდ, ხშირია კუნთების გადაჭიმვა, რაც სამომავლოდ შეიძლება სერიოზული გართულების მიზეზი გახდეს. **არასწორი და ფორსირებული წვრთნის შედეგია ისეთი ქრონიკული დაავადებების სიხშირე სპორტსმენებში, როგორიცაა ართროზი, სქოლიოზი და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სხვა დაავადებანი.**

მწვრთნელთა უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს ბავშვთა სხვადასხვა ასაკის ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე. ჩვეულებრივი მოვლენაა პატარებში ინიციატივის ჩაკვლა და წვრთნის მკაცრი, „დიქტატურული“ რეჟიმი, სამედიცინო თვალსაზრისით გაუმართლებლად დიდი დატვირთვები. ეს მძიმე პათოლოგიით — გადაღლითა და დაძაბვით მთავრდება, გამოუსწორებელ დაღს ასვამს სპორტსმენის ჯანმრთელობასა და ფსიქიკას. ასეთი ტრავმირებული ბავშვი დიდი სპორტისთვის სამუდამოდ დაკარგულია.

ქართველი პატარების გუნდები — განსაკუთრებით ფეხბურთში, ხშირად ჯაბნიან ევროპელ თანატოლებს, მაგრამ მოზრდილთა ასაკში ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი იკარგება. რატომ? ძირითადად ზემოთ ჩამოთვლილი არასწორი „აღზრდაა“ ამის მიზეზი. **მწვრთნელები ახერხებენ გააფლანგვინონ ბავშვებს იმ ენერგიის და სიცოცხლისუნარიანობის მარაგის 50 %, რაც ორგანიზმს 80-100 წლის მარაგად ჰქონდა გათვალისწინებული.** ყოველ ორგანიზმს განვითარებისა და ენერგიის ცვლის საკუთარი გეგმა აქვს. აქ უხეში და ზღვარგადასული ჩარევა საკმაოდ მძიმე და არასასურველ შედეგებს იძლევა. საკმარისია გავიხსენოთ უამრავი ვუნდერკინდი, რომელიც მოზრდილ ასაკში საკმაოდ ჩვეულებრივი და თან ფსიქიკა-შერყეული ადამიანია. **მძიმე პასუხისმგებლობით შებორკილი ბავშვები კი აღარ „თამაშობენ“, ვთქვათ, ფეხბურთს, არამედ თავდაუზოგავად შრომობენ, რომ გაიმარჯვონ. მათ მრავალჯერ უწნევიათ შეურაცხყოფა და ამ შრომაში დამცირება დაშვებული შეცდომების გამო.**

სპორტულ მედიცინას რომ შესაბამისი ხელშეწყობა ჰქონდეს, აუცილებელი გახდებოდა „გადამდგარი“ სპორტსმენების ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შესწავლა. თანამედროვე სპორტი ადამიანს შედეგის მისაღწევად იყენებს, როგორც თქმულია, გამოსწურავს, როგორც ლიმონს და მის შემდგომ ბედზე აღარავინ ფიქრობს. რა დასამალია და, დიდ სპორტს მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახის ბავშვები მისდევენ. საბჭოთა კავშირში მათგან ერთეულებს შანსი ჰქონდათ გაეუმჯობესებინათ თავიანთი მატერიალური მდგომარეობა და გარკვეული ადგილი მოეპოვებინათ საზოგადოებაში. ახლა ასეთი კომპენსაციებიც ფრიად საეჭვო და ბუნდოვანია. ან კი რა უნდა იყოს ისეთი პრივილეგია და მატერიალური ჯილდო, რომელიც აანაზღაურებს არასწორი წვრთნის შედეგად დაკარგულ ჯანმრთელობას. სპორტის დაუშვებელი „გაახალგაზრდავება“ მიზეზი ხდება სპორტს ჩამოშორებული და ჯანმრთელობაშერყეული ახალგაზრდების მომრავლებისა.

**ოთარ ვირუბოვი,**
**საქართველოს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის მთავარი ექიმი.**

**საუბარი ჩაიწერა**
**ნინო აფაქიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ვერაზე მ. კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში გრძელდება II ჯგუფის I წრის მატჩები.

*„აზოტი“ (რუსთავი) — „მერანი-21“ — 125:51*
*„მაკაბი-ტელარატი“ — „რიონი“ (ქუთაისი) 93:75*
*ახკ — თსუ 87:106*
*„მაკაბი“ — „მერანი-21“ 100:67*
*„თსუ — „რიონი“ 82:55*
*ახკ — „დინამო-1“ 70: 121*
*ახკ — „რიონი“ 102:78*
*„დინამო-1“ — „მაკაბი“ 112:92*
*„აზოტი“ — ახკ — 107:100*

*გუშინ: თსუ — „მერანი“ 120:79*
*„დინამო“ — „რიონი“ 111:64*
*„აზოტი“ — „მაკაბი“ 107:67*

ამ უკანასკნელ მატჩში ფავორიტი უკვე „აზოტი“ იყო, მაგრამ პირველ ათ წუთში ბრძოლა უკომპრომისო გამოდგა. რუსთაველთაგან გამოირჩეოდნენ საქართველოს ნაკრების წევრები გოგიბერიშვილი და ბოისა. მათ შესაბამისად 18 და 16 ქულა შესძინეს გუნდს. სტუმართა შეტევებს დამაგვირგვინებელ სტადიაში სიზუსტე აკლდა. ხშირი იყო ტექნიკური წუნი. „მაკაბი“ ბოლოს დაიღალა კიდეც, თანაც სათადარიგო სკამზეც აღარ შემორჩათ ძირითადი მოთამაშეების დონის შემცვლელი კალათბურთელები. დაუმატეთ ამას მეტოქის კლასის სხვაობა და შედეგიც ლოგიკურად აღიქმება, ამ მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა 56:39.

## ლოკომოტივი (თბილისი) – სამგურალი (წყალტუბო) 2-0

**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, ქვარცხავა, ჟორჟიკაშვილი, ბარნოვი, ბაქრაძე, კოტორაშვილი (მესხიძე), კვეტენაძე, ქველაძე, გვაზავა (დიმიტრიშვილი), გამცემლიძე, ენუქიძე (ერაძე).
**სამგურალი:** ბობოხიძე, ჭელიძე, ვაშაკიძე, კოდუაშვილი, ჯანელიძე, ძაგნიძე, გიორგობიანი (ქუთათელაძე), სუხიაშვილი, ფხაკაძე, გელაშვილი (თევდორაძე), ჯანაშია.
**გოლები:** გვაზავა 49, გამცემლიძე 75.
**მსაჯი:** თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

ტერიტორიული უპირატესობა პირველ ტაიმში მასპინძლებს ჰქონდათ. „ლოკომტივის“ ფეხბურთელები, ძირითადად, შორეული დარტყმებით ცდილობდნენ წარმატების მიღწევას, მაგრამ კარგად თამაშობდა „სამგურალის“ მეკარე ბობოხიძე, რომელმაც კვეტენაძის, გვაზავასა და ჟორჟიკაშვილის რამდენიმე სახიფათო დარტყმა მოიგერია. რაც შეეხება სტუმრებს, მათ მთელი თამაშის მანძილზე დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნიათ.

მეორე ტაიმიც მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, რასაც რამდენიმე წუთში გოლიც მოჰყვა – ჟორჟიკაშვილმა შეტევის მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, რომელიც უმეთვალყურეოდ დარჩენილ გვაზავას მიუვიდა, მასაც არ გასჭირვებია თავური დარტყმით ანგარიში გაეხსნა.

გოლს, თითქოს, უნდა გამოეფხიზლებინა წყალტუბოელი ფეხბურთელები, მაგრამ მოხდა პირიქით. „ლოკომოტივი“ კვლავ განაგრძობდა შეტევებს. რკინიგზელთა რიგებში აღსანიშნავია ჟორჟიკაშვილის თამაში, რომელიც მახვილგონივრული პასებით ამარაგებდა თავდამსხმელებს და დაცვაშიც სანაქებოდ ირჯებოდა. სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა მეორე გოლიც: კობას დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია, ხოლო დამატებაზე პირველი გამცემლიძე გაჩნდა, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა 2-0.

ირაკლი შენგელია

# საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# პირველი ჯგუფი XI ტური

## კოლხეთი-1913 (ფოთი) — მერანი-91 (თბილისი) 3-0

**კოლხეთი:** მ.გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, გიორგაძე, ქუნთელია (გოროზია, 46), ღლანიძე, ამაშუკელი, ტორჩინავა, ე. გვასალია, წივწივაძე, ქობულაძე.
**მერანი:** გვენცაძე, ივანიშვილი, გოგიტაძე, სიდამონიძე (ჰინჭარაული, 80), დანელია, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, ცქიფურიშვილი, ბაბულაიძე (ბერაია, 80), გოდერძიშვილი, დავითაშვილი.
**გოლები:** ღლანიძე (30), ე. გვასალია (77), ქობულაძე (79).
**გააფრთხილეს:** სიდამონიძე
**მსაჯი:** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

ფოთში ჩასულ მერანელებს ამ ქალაქის ტიპიური ამინდი დაუხვდათ, თუმცა სტუმართა მარცხში სველ მინდორსა და წვიმას, ალბათ ყველაზე ნაკლებად მიუძღვით წვლილი. თბილისელებს დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების გარდა, ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე კაკუბავაც აკლდათ (ავადმყოფობის გამო). ფოთელებს კი რევანშის მწველი სურვილი ამოძრავებდათ — წინა ჩემპიონატში „მერანმა“ ხომ ორჯერვე სძლია კოლხებს (4-0, 1-0).

ფაზისელები მართლაც დიდი შემართებით გაისარჯნენ, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს, თუმცა პირველი ტაიმი „მერანს“ ასეთს ნამდვილად არ უქადდა. ფოთელი მცველები ხშირად ცდებოდნენ და მოედნის თავიანთ ნახევარზე ბურთს ხშირად „აბარებდნენ“ თბილისელებს. კარგი შესაძლებლობები გაუშვეს ხელიდან გოდერძიშვილმა, დავითაშვილმა და დანელიამ. ფოთელები კი უმთავრესად ფლანგებიდან ცდილობდნენ სტუმართა დაცვის შეწუხებას და წივწივაძის დასარტმელ პოზიციაზე გაყვანას, მაგრამ გოგიტაძე კარგად ართმევდა თავს ფოთელთა ცენტრფორვადის მეურვეობას. ფაზისელებმა ანგარიში გვასალიას წაქცევისათვის დანიშნული საჯარიმო დარტყმის შედეგად შეძლეს, რომელიც ტრადიციულად ღლანიძემ შეასრულა.

მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა გახდა. „მერანს“ შეტევაში არაფერი გამოსდიოდა, მათ ნახევარმცველებს უჭირდათ გოდერძიშვილამდე ან დავითაშვილამდე ბურთის მიტანა და ასეთ დროს მთელი ტვირთი, როგორც იტყვიან, დაცვას დააწვა კისერზე. ფოთელთა მხრივ კი კვლავ ფლანგურმა გარღვევებმა იძალეს და ე. გვასალიას ზუსტ თავურს, ქობულაძის მიერ გვენცაძის კარის ცხრიანის დალაშქვრაც მოჰყვა.

ამის შემდეგ „მერანი“ ბევრს ეცადა პრესტიჟის გოლის გატანას. ყველაზე კარგი შესაძლებლობა დავითაშვილს მიეცა, მაგრამ მერანელმა ვერ შესძლო ბურთის დამორჩილება და ფაზისელებმაც დიდი ანგარიშით გამარჯვებით გაახარეს საკუთარი გულშემატკივარი.

დათო თავართქილაძე
ფოთი, „ლელოს“ სპეც. კორ.

## სხვა მატჩები

დინამო (ბათუმი) – ტორპედო (ქუთაისი) 2-1
გურია (ლანჩხუთი) – მორკინალი (თბილისი) 2-1
უნივერსიტეტი (თბილისი) – მარგვეთი (ზესტაფონი) 5-0
მაღაროელი (ჭიათურა) – დინამო (თბილისი) 1-1
სიონი (ბოლნისი) – დილა (გორი) 3-1
ოდიში (ზუგდიდი) – მეტალურგი (რუსთავი) 3-2

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდიში (ზუგდიდი) | 10 | 8 | 1 | 1 | 20-7 | 25 |
| უნივერსიტეტი (თბილისი) | 11 | 7 | 2 | 2 | 21-9 | 23 |
| დინამო (თბილისი) | 8 | 7 | 1 | 0 | 24-4 | 22 |
| დინამო (ბათუმი) | 10 | 6 | 3 | 1 | 21-9 | 21 |
| კოლხეთი-1913 (ფოთი) | 11 | 6 | 1 | 4 | 25-13 | 19 |
| მორკინალი (თბილისი) | 11 | 3 | 5 | 3 | 13-11 | 14 |
| ტორპედო (ქუთაისი) | 10 | 3 | 4 | 3 | 16-15 | 13 |
| ლოკომოტივი (თბილისი) | 11 | 3 | 4 | 4 | 13-17 | 13 |
| დილა (გორი) | 11 | 4 | 1 | 6 | 10-18 | 13 |
| მერანი-91 (თბილისი) | 11 | 5 | 1 | 5 | 16-14 | 11 |
| სამგურალი (წყალტუბო) | 11 | 3 | 2 | 6 | 14-25 | 11 |
| გურია (ლანჩხუთი) | 11 | 2 | 4 | 5 | 12-21 | 10 |
| მეტალურგი (რუსთავი) | 10 | 3 | 0 | 7 | 11-16 | 9 |
| მაღაროელი (ჭიათურა) | 11 | 2 | 2 | 7 | 10-27 | 8 |
| სიონი ბოლნისი | 10 | 3 | 3 | 4 | 15-14 | 7 |
| მარგვეთი (ზესტაფონი) | 11 | 1 | 2 | 8 | 10-31 | 5 |

*შენიშვნა: „მერანი-91“-სა და „სიონს“ სფფ-მ 5-5 ქულა დააკლო.*

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**მაღაროელი (ჭიათურა) — დინამო (თბილისი) 1-1**
**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ასანიძე, გაბრიჭიძე, ტეფნაძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე (ლოლაძე), კავთელაძე, მწყერაშვილი (მენაბდიშვილი).
**დინამო:** ჭანტურია, კალაძე, ჩიხრაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, გუჩუა, კიკნაძე, ალექსიძე (დემეტრაძე), გოგობერიშვილი, მუჯირი (გელაძე), ხომერიკი.
**გოლები:** 0-1 კიკნაძე (32), 1-1 მენაბდიშვილი (57)
**გააფრთხილეს:** გველესიანი, ცქიტიშვილი, გოგობერიშვილი
**მსაჯი:** პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი)

**უნივერსიტეტი (თბილისი) – მარგვეთი (ზესტაფონი) 5-0**
**უნივერსიტეტი:** დოლიძე, ვერემჩუკი, კობიაშვილი, თელიაშვილი, კანკავა, ზამთარაძე (სვანიძე), მელქაძე, როსტიაშვილი, შალამბერიძე (ჩომახიძე), რუსია (ბახტაძე), გიორგი ქორიძე.
**მარგვეთი:** მერკვილიშვილი, ლანჩავა (ბიწაძე), ქვანია (ფოცხვერაშვილი), ფოფხაძე, ლონაძე, კაციაშვილი, სულაკაძე (ტოკლიკიშვილი), მოსიკაშვილი, ზაქარეიშვილი, მაღრაძე, ხეტეშვილი.
**გოლები:** რუსია (16), ქორიძე (34, 74, 83), კანკავა (68)
**გააფრთხილეს:** ბახტაძე
**მსაჯი:** გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი)

**დინამო (ბათუმი) – ტორპედო (ქუთაისი) 2-0**
**დინამო:** ტოგინიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, გ. შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ჩუხუა (აფხაზავა), ღლონტი (ფუტკარაძე.
**ტორპედო:** ასლანაძე, ხვადაგიანი, თურმანიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, შ. ხუჯაძე, კვეტენაძე, ქებაძე (გ. მეგრელაძე), დ. ჯანაშია, ნოზაძე, იონანიძე.
**გოლები:** მაჭუტაძე (18), თორლაშვილი (86)
**მსაჯი:** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ოდიში (ზუგდიდი) – მეტალურგი (რუსთავი) 3-2**
**ოდიში:** გაბელია, ახვლედიანი, დიდიძე, ანჯაფარიძე, ჭურღულია, ებრალიძე, ზ. კვეკვესკირი, ჩადუნელი, იგეჩიანი, წიტაიშვილი, კალანდაძე.
**მეტალურგი:** კოროშინაძე, ფაცურია (დ. გოგოლაძე), გურიელიძე, ბექაური, მ. სახვაძე, ზირაქაძე, მელაძე (ა. შეყილაძე), არსოშვილი, მინდიაშვილი, მიშველიძე, კ. ალადაშვილი.
**გოლები:** 0-1 მელაძე (20), 1-1, 2-1, 3-1 კალანდაძე (27,33 პენ., 42), მიშველიძე (70)
**გააფრთხილეს:** გაბელია, ახვლედიანი.
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი

**გურია (ლანჩხუთი) – მორკინალი (თბილისი) 2-1**
**გურია:** გოგუა, ღურწკაია, კვეკვესკირი, ლორია, ჯაშიაშვილი, თიბილაშვილი, ჭელიძე, პატარაია (გაბუნია), ჩხეტია (თ. გოგიჩაიშვილი), ბერიძე, ბულუხია.
**მორკინალი:** გუგუნავა, კაპანაძე (ლაპიაშვილი, კაჭარავა), კევლიშვილი, ვაშაკიძე, ასპინძელაშვილი, აბაზაძე, პეტრიაშვილი (გოჩაშვილი), მაისურაძე, კ. გოგოლაძე, ჭუმბურიძე, ზირაქიშვილი.
**გოლები:** 1-0 კვეკვესკირი (40 პენ.), 1-1 ვაშაკიძე (72), 2-1 კვეკვესკირი (79 პენ.)
**გააფრთხილეს:** ღურწკაია, ასპინძელაშვილი, თიბილაშვილი
**მსაჯი:** შოთა ხანიაშვილი (თბილისი).

## რაგბი • საქართველოს XXX ჩემპიონატი

# „ლოკომოტივზე“ ფულმა მწვანე შუქი აანთო...

ჩემპიონატის ორი მატჩი 27 ოქტომბერს იყო დანიშნული „ლოკომოტივის“ სტადიონზე, მაგრამ წვიმის გამო პირველი მატჩის დაწყება, თითქმის ერთი საათით გადაიდო. ბოლოს გარკვეული საზღაურით მორაგბეები მოედანზე მაინც შეუშვეს. II წრის I ტურში ჯერ თბილისის „ყოჩები“ და რუსთავის „აზოტი“ დადგნენ პირისპირ. „ყოჩები“ ლიდერია, „აზოტი“ მას კვალში მიჰყვება და მატჩი, ცხადია, საინტერესო გამოდგა. იყოჩაღეს „ყოჩებმა“ — 29:17. გამარჯვებულთაგან ლელოები დადეს მამუკა ტყეშელაშვილმა, კახა კობახიძემ და ლევან პეტრიაშვილმა. სამი საჯარიმო გაიტანეს ბესო ტეფნაძემ, ერთიც კახა მაჩიტიძემ. სამწუხაროა, რომ „ყოჩების“ მე-14 ნომერმა სპირიდონ ლიპარტელიანმა ამ თამაში მძიმე ტრავმა მიიღო (მენჯის მოტეხილობა). საბოლოოდ შემდეგ საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი თბილისის „გუმარი“ ქუთაისის „აიას“ შეხვდა. „გუმარმა“ გაიმარჯვა 32:30. ანგარიში თავად მეტყველებს, რომ შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ახლა ამ შეფარდებით საეჭვო გახდა შევა თუ არა „გუმარი“ ჩემპიონატის ლიდერთა ოთხეულში. წინაა „ყოჩები“ 31 ქულით, „აზოტს“ 24 ქულა აქვს, თბილისის „ქორებს“ — 19, მეოთხეა — „აია“ 17, მეხუთე — „გუმარი“ — 13, მეექვსე — ახკ 6. II ტურის მატჩების გამართვაც ამ დღეებშია ნავარაუდევი.

ნინო ლეჟავა

# ვაჟა ქვანია: „მინდა განვაცხადო“...

## ქალთა ფეხბურთი

როგორც თავის დროზე უკვე გაუწყეთ, საქართველოს ქალთა ეროვნულ ნაკრებს 5 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩი უნდა ჩაეტარებინა საბერძნეთში ამავე ქვეყნის ეროვნულ გუნდთან, მაგრამ ჩვენი ქალების გამგზავრება არ მოხერხდა. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით, გუშინ საქართველოს ქალთა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ვაჟა ქვანიამ პრესკონფერენცია გამართა.

ვაჟა ქვანია: „ჩვენ გვინდა ამ ფაქტს ოფიციალური სახე მივცეთ. საქართველოს ქალთა ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე რომ მიეღო მონაწილეობა, აუცილებელი პირობა გახლდათ (ფიფას მიერ განსაზღვრული) ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების ჩატარება. ყველაფერი ეს ჩვენმა ასოციაციამ ითავა: გუნდების ეკიპირება, მიმოსვლის და მსაჯთა ხარჯები, რაც 25 216 ლარი დაგვიჯდა. დიდი შრომა გასწიეს კლუბებმაც. სფფ-მ კი ითავა ქალთა ნაკრების ხარჯების, მათ შორის მგზავრობისა და დაბინავების გადახდა, რისი ოფიციალური დოკუმენტი არსებობს კიდეც. სფფ-მ გუნდის პირველი თამაში იუგოსლავიაში დააფინანსა, გასწია ხარჯები მეორე მატჩზეც, რაც თურქეთის ნაკრები გვეწვია (ხარჯებში ნაწილობრივ ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა), მაგრამ, როცა საბერძნეთში წასვლის ჯერი დადგა, გვითხრეს, რომ ავტობუსით წასულიყო გუნდი 200 კმ-ზე, ე.ი. ქალებს ექვსი დღე და ღამე ავტობუსში უნდა გაეტარებინათ. სპორტული და ესთეტიკური თვალსაზრისით განა ასეთი რამე დასაშვებია? ჩვენ წარვუდგინეთ სფფ-ს მგზავრობის ხარჯთაღრიცხვა, რაც 18 000 ლარს შეადგენდა. სფფ კი მხოლოდ 9 500 ლარის გამოყოფაზე იყო ყაბულს, თანაც ისიც გვითხრეს, რომ თუ გუნდი ავტობუსით არ გაემგზავრება, პასუხისმგებლობა მთლიანად თქვენ (ქალთა ფეხბურთის ასოციაციას) დაგეკისრებათო.

„მინდა განვაცხადო, რომ ეს ფაქტი უკვალოდ არ ჩაივლის. სპორტის კანონის 23-ე მუხლის მე-7 პარაგრაფითაც საქმის კურსში ჩავაყენეთ სპორტის დეპარტამენტი. მოკლედ, ეტაპობრივად ვიწყებთ ბრძოლას. მინდა კატეგორიულად განვაცხადო ისიც, რომ არ ვართ ალიანსში არავისთან, ვინც კი სფფ-ს წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას ეწევა“...

„როცა, ამ ცოტა ხნის წინათ უეფას აღმასკომის წევრი იოზეფ მიფსუდი იყო ჩამოსული თბილისში, სფფ-მ აუწყა მას, რომ საქართველოში ქალთა ფეხბურთი არსებობს. სტუმარი გაკვირვებული დარჩა და თქვა, რომ ქალთა გუნდი ჩემს სამშობლოში (მალტა) საერთოდ არ არისო“.

„რადგან, ჩვენი ქალთა გუნდი არ გამოცხადდა თამაშზე საბერძნეთში, ფიფა ახსნა-განმარტებას მოსთხოვდა სფფ-ს, მაგრამ თუ რა მისწერა სფფ-მ ფიფას და იქიდან რა პასუხი მიიღო, ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით, ინფორმაციას გვიმალავენ“.

დათო თავართქილაძე

# „კაიზერსლაუტერნმა“ 26 ათასი აბონემენტი გაყიდა

ასეთი რამ გერმანიაში არასოდეს მომხდარა, რომ მეორე ბუნდესლიგიდან გადმოსულ კლუბს 26 ათასი აბონემენტი გაეყიდოს. „კაიზერსლაუტერნის“ ასეთ დიდ ფინანსურ წარმატებას მის სახელოვან მწვრთნელ ოტო რეჰაგელს უკავშირებენ. მან ჯერ კიდევ ზაფხულში განაცხადა, რომ კლუბი გერმანიის 1997-98 წლების ჩემპიონატში სენსაციას მოახდენდა და აკი ჯერჯერობით სიტყვასაც ამართლებს — „კაიზერსლაუტერნი“ უკვე პირველი ტურიდან დღემდე მტკიცედ ინარჩუნებს ლიდერობას.

## მხატვრული ტანვარჯიში • მსოფლიო ჩემპიონატი

# ბერლინში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი გამოვლინდა

ბერლინში გამართულ ამ ასპარეზობაზე 159 სპორტსმენი გამოდიოდა. სპეციალისტთა აზრით, დღესდღეობით მხატვრული ტანვარჯიში ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის და ამერიკული ფეხბურთის შემდეგ სპორტის პოპულარულ სახეობად ითვლება. სპორტის სასახლე, სადაც ჩემპიონატი მიმდინარეობდა, ყოველთვის ხალხით იყო გადაჭედილი. ასპარეზობა დაძაბულად წარიმართა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე უძლიერესი ტანმოვარჯიშე, რომელთაც ატლანტის ოლიმპიადაზე საპრიზო ადგილი დაიკავეს (მათ შორის, ოლიმპიური ჩემპიონი, უკრაინელი ეკატერინე სერებრიანსკაია), ბერლინში არ ჩამოსულან. პირველი გუნდური ადგილი დაიკავეს რუსებმა, მეორე – ბელორუსებმა, მესამე – უკრაინელმა სპორტსმენებმა. პირად პირველობაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა უკრაინელი ელენე ვეტრიჩენკო, ვერცხლის მედალი წილად ხვდა რუს ნატალია ლიპკოსკაიას, ბრინჯაოსიც – მის თანაგუნდელს იანინა ბატირშინას.

საქართველოს ნაკრები, რომელიც ამჯერად მისი ერთ-ერთი ლიდერის ეკა აბრამიას გარეშე ასპარეზობდა, მსოფლიო ჩემპიონატზე ორი ტანმოვარჯიშით იყო წარმოდგენილი: თბილისელმა ინგა თავდიშვილმა პირად პირველობაში 51-ე შედეგი აჩვენა, ხოლო ბათუმელმა ვანდა კერესელიძე 64-ე იყო.

ნინო ლეჟავა

FRANCE 98
COUPE DU MONDE

# ევროპა: ათი ცნობილია, ვინ იქნება კიდევ ოთხი?

***დღეს ევროპაში დიდი ფეხბურთის დღეა — მსოფლიო ჩემპიონატის ევროპულ შესარჩევ ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული 8 ნაკრები პლეი-ოფში საფრანგეთის 4 საგზურს გაითამაშებს. ამ საღამოს ხორვატია უკრაინას უმასპინძლებს, რუსეთი — იტალიას, ირლანდია — ბელგიას, უნგრეთი — იუგოსლავიას. განმეორებითი შეხვედრები 15-16 ნოემბერს გაიმართება.***

**ხორვატია.** ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოს“ შთამბეჭდავმა გამოსვლამ ერთობ დააფიქრა: „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უკრაინელებს თამაშში სუსტი წერტილები არა აქვთ“. ბლაჟევიჩის შეშფოთება გასაგებია — უკრაინის ნაკრებში ხომ ერთბაშად 10 დინამოელი გამოდის. ხორვატთა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის ალიოშა ასანოვიჩის თქმით, ბალკანელებს „ურთულესი ბრძოლა მოგველის, ვფიქრობთ, კენჭისყრამ ყველაზე ძლიერი მეტოქე გვარგუნა“. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, რომ ხორვატთა ნაკრების რიგებში სათუოა რობერტ პროსინეჩკის გამოსვლა — მას მუხლის ტრავმა აქვს.

**უკრაინა.** ამ ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელს სერიოზული პრობლემა აწუხებს — კიევის „დინამოს“ ორი წამყვანი ფეხბურთელი, ნახევარმცველი იური კალიტვინცევი და თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო დისკვალიფიცირებულია და ზაგრებში ვერ ითამაშებს.

**რუსეთი.** გუნდის თავკაცმა ბორის იგნატიევმა ნაკრებში დააბრუნა ანდრეი კანჩელსკისი, რომელმაც კოჭის ტრავმა მოიშუშა. მწვრთნელმა მოსკოვში სასპარეზოდ აგრეთვე გამოიძახა „ბოლონიას“ თავდამსხმელი იგორ კოლივანოვი. ვარაუდობენ, რომ მოიერიშე ოპერაციებში მას სერგეი იურანს შეუწყვილებენ. „რეჯანაში“ მოასპარეზე იგორ სამუტენკოვის ტრავმამ ნაკრებში გზა გაუხსნა ესპანეთის „რასინგის“ ფორვარდს ვლადიმირ ბესჩასტნიხს.

**იტალია.** თადაპირველად ჩეზარე მალდინიმ ნაკრებში გამოძახებულ მოთამაშეებს შორის „იუვენტუსის“ მეკარე ანჯელო პერუციც დაასახელა, მაგრამ ბოლო მომენტში ექიმებმა მას ტრავმის გამო ვარჯიში აუკრძალეს, ისევე როგორც მცველ ჩირო ფერარას. მოსკოვში ვერ იაპარეზებს ნახევარმცველი ანჯელო დი ლივიოც — იგი დისკვალიფიცირებულია. იტყობინებიან, რომ ჩეზარე მალდინის, პირველ ყოვლისა, დაცვის პრობლემა აწუხებს: ფერარას გარდა გუნდში ვერ ითამაშებს კრისტიან პანუჩი, სათუოა აგრეთვე პაოლო მალდინის გამოსვლაც. ნახევარდაცვაში დი ლივიოს გარდა ყველა უძლიერესი ითამაშებს — დი მატეო, ალბერტინი, დინო ბაჯო, ლომბარდო. თავდასხმაში ვარაუდობენ — რავანელის, ვიერის ან ძოლას (ფილიპო ინძაგი მწვრთნელმა აღარ გამოიძახა).



*ოლეგ ლუჟნი (დიდ მაისურში) უკრაინელთა დაცვის იმედი*

**ირლანდია.** მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც დუბლინის „ლენდსდაურ როუდის“ სტადიონზე გამოვლენ. ირლანდიელებს სერიოზული დანაკლისი აქვთ — ლივერპულელმა ფილ ბებიმ ვარჯიშზე ფეხის ტრავმა მიიღო და ერთი თვე გაუცდება. ასევე ტრავმის გამო სათუოა ნოტინგემელი დევიდ კელის თამაშიც.

**ბელგია.** იტყობინებიან, რომ ნაკრების ნიუკასლელი მცველი ფილიპ ალბერი აშიერიდან ბელგიელთა ღირსებას ასაკის გამო აღარ დაიცავს. ალბერის გარდა ირლანდიელებთან ვერ ითამაშებს კიდევ ორი ვეტერანი — ანდერლეხტელი ენცო შიფო (ტრავმირებულია), ხოლო, ფიორენტინელი ლუის ოლივეირა — დისკვალიფიცირებული.

**უნგრეთი.** ამ გუნდის მოთამაშეები სულაც არ თვლიან თავს პლეი-ოფის აუტსაიდერად. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იანოშ ჩანკმა ოთხი ისეთი ფეხბურთელი მიიწვია, რომელთაც ფინელებთან არ უთამაშიათ — ლასლო კლაუში, ფლორიან ურბანი, იანოშ ბანფი და პალ ლაკოში.

**იუგოსლავია.** მიმომხილველთა აზრით, იუგოსლავიელებს ყველაზე მეტად გაუმართლდათ, როდესაც კენჭისყრამ მათ უნგრელები არგუნა. სლობოდან სანტრაჩმა დღევანდელი მატჩისათვის, პრაქტიკულად, ყველა უძლიერეს ფეხბურთელს უხმო.

# მართლა გაუმართლათ რუსებს?

„საფრანგეთში მოსახვედრი“ დღევანდელი პირველი მატჩი იტალიისა და რუსეთის ნაკრებთა შორის, რომელიც მოსკოვში უნდა შედგეს, დიდ ინტერესს იწვევს.

**ვიაჩესლავ კოლოსკოვი, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი:** „ჩემი აზრით, ციურიხის კენჭისყრაზე ჩვენს ნაკრებს გაუმართლა. შვიდი შესაძლო მეტოქე-გუნდიდან ყველაზე ძლიერი რომ შეგვხვდა, ამას თავისი პლუსები აქვს: ჯერ ერთი, არ გახდება საჭირო ბიჭების შეჩახმახება, იტალიელებს ისინი მშვენივრად იცნობენ; მეორე, რომში ინგლისის ნაკრებთან მასპინძელთა მატჩმა (0-0) გვიჩვენა, რომ იტალიასთან თამაში შეიძლება; მესამეც, ჩვენს ფეხბურთელებს საშუალება ეძლევათ დაუმტკიცონ ქომაგებსა და უწინარესად საკუთარ თავს, რომ შეუძლიათ ფინალურ შეჯიბრებებში ღირსეულად გამოსვლა და მსოფლიოს ჩემპიონატის მედლებისათვის ბრძოლა“.

რუსეთის ნაკრები საერთოდ ურიგოდ როდი გამოდის „სკუადრა აძურას“ წინააღმდეგ; მართალია, უკანასკნელი შეხვედრისას ევრო-96-ის ჯგუფურ ტურნირში დამარცხდა (1-2), მაგრამ ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში „სკუადრა აძურასთან“ გამარჯვებული გამოვიდა (2-0). ის მატჩი ფეხბურთის ისტორიაში დღემდე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება ყველა პარამეტრით.

აგრეთვე იღბალია რუსეთელებისათვის, რომ პირველ თამაშს თავის მინდორზე გამართავენ: აქ უკეთესია ოქტომბრის ბოლოს ითამაშო, ვიდრე ნოემბრის ბოლოს.

დღევანდელი შეხვედრა „დინამოს“ სტადიონზე შედგება.

**იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ფრანკო კარარო:**

„პირადად მე არ მინდოდა ჩვენს მეტოქეებად ხორვატები, იუგოსლავიელები და რუსები მეხილა; თუმცა ამ სტადიაში სუსტებს არ უნდა დავლოდებოდით. კი, რუსეთის ნაკრები ძლიერია, მაგრამ ბურთი მრგვალია, მოედანი კი სწორი. უძლიერესს მხოლოდ ბურთი და მოედანი გამოავლენს და არა მთელი ჩვენი ლაპარაკი“.

**წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი და მწვრთნელი კონსტანტინე ბესკოვი** (იგი საპატიო სტუმრად მიიწვიეს კენჭისყრის ცერემონიალზე):

„რუსეთს ყველაზე მძიმე მოწინააღმდეგე შეხვდა — ნებისმიერი სხვა გუნდი დარჩენილი 6 ნაკრებიდან (ბელგია, ირლანდია, იუგოსლავია, უკრაინა, უნგრეთი, ხორვატეთი — **რედ.**) უკეთეს არჩევნად ჩაითვლებოდა. იტალია-რუსეთის წყვილიდან ერთ-ერთს არ უწერია საფრანგეთს გამგზავრება, მაგრამ შესაძლოა მათ ყველაზე „ინტრიგული“ ფეხბურთი აჩვენონ; ჩვენ სამამულო ფეხბურთის 100 წლისთავს ვზეიმობთ და თუ რის მაქნისები ვართ, სწორედ იტალიელებთან ორი მატჩი დაგვანახვებს. დროა, გამოვარკვიოთ რუსეთული ფეხბურთის ნამდვილი დონე.

... მაშ ასე — ამაღამ სანახევროდ გვეცოდინება, ვინ რად ღირს...



*ტრადიციისამებრ, იტალიის ნაკრები მატჩისწინა შეკრებებს, მილანის მახლობლად, „კოვერჩიანოს“ ბაზაზე ატარებს ხოლმე. ამჯერად, რეზარე მალდინის შეგირდებმა ჩვეულებას უღალატეს და რუსებთან შეხვედრისათვის რომის სამხრეთით, „ბორჯეზიანოს“ ცენტრში ივარჯიშეს. 27 ოქტომბერს, ნაშუადღევს „სკუადრა აძურამ“ ბოლო წრე შემოუარა სათამაშო მინდორს და მოსკოვისაკენ აიღო გეზი.*

*რეიტერის ფოტო*

**თამაზ ებანოიძე**

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

# რეინალდ პედროსი

**დაიბადა 1971 წლის 10 ოქტომბერს**
**კლუბები: „ლილი“. „ნანტი“. „ოლიმპიკი“. „პარმა“.**
**მიღწევები: საფრანგეთის ჩემპიონი (1995 წ)**



რეინალდი 18 წლის იყო, როცა მშობლიურმა გუნდმა მოუსინჯა კბილი. მან იმთავითვე მიიპყრო ყურადღება, როგორც დისპეტჩერის შესაშური თვისების მქონე მოთამაშემ. ამავე დროს პედროსი 20 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების ლიდერიც გახდა. აშკარა იყო, რომ ფრანგი გრანდები შეეცდებოდნენ მის ხელში ჩაგდებას და აი, პედროსი „ნანტში“ აღმოჩნდა, რომელიც სწორედ ახალგაზრდა ბიჭებით აპირებდა ალმასვლას ცნობილი სპეციალისტის ჟან-კლოდ სიუდოს თავკაცობით.

1992 წლის მიწურულს რეინალდი საფრანგეთის პირველ ნაკრებში აიყვანეს, თუმცა იქ ფეხის მოკიდება უჭირდა, რადგან ჟერარ ულიე, ჟაკესგან განსხვავებით უფრო ვეტერანებს ეყრდნობოდა. პედროსმა ითამაშა ფრანგებისთვის იმ ავბედით დღეს, როცა „მამლებმა“ შინ წააგეს ბულგარელებთან და აშშ-94-ის მიღმა დარჩნენ. „მე მიჭირდა ნაკრებში ჟინოლასა და კანტონასათვის კონკურენციის გაწევა, მაგრამ ამის მადლობელი ვარ, რადგან კონკურენციამ ბევრი რამ მომცა. მწამს, რომ ჩვენი ნაკრები ღირსეულად გამოვა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ჩემი ფიქრები კი ჯერჯერობით „პარმასთანაა“ დაკავშირებული. სკოტეტისათვის ვიბრძვით, მაგრამ იტალიაში ჩემპიონატის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე საფრანგეთში, ასე იყო, როცა „ნანტში“ ვთამაშობდი“.

პედროსი, როგორც მაღალი კლასის ფეხბურთელი, მსოფლიომ 1994-95 წლების სეზონში გაიცნო, როცა „ნანტმა“ მართლაც განსაცვიფრებელი უპირატესობით მოიგო ჩემპიონობა, უკან მოიტოვა, რა, ვეას ჟინოლას „პსჟ“. და შიფო – კლისმანიანი „მონაკო“. „ნანტი“ მაშინ მართლაც შემტევი და ტექნიკური გუნდი იყო. პედროსს მხარს უბამდნენ: ლოკო, უედეკი, ნდორამი, კარამბუე... რეინალდი იმ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

„ყველაფერი, რასაც მივაღწიე, ჩემი მუშაობის შედეგია, მაგრამ გუნდმა მაინც არ გამიძლო და მალე მომინდა უცხოეთში წასვლა. „ნანტი“ სულ უფრო და უფრო მაღიზიანებდა, რადგან ეს უკვე აღარ იყო ის გუნდი, რომელსაც შეეძლო მეტოქის დათრგუნვა“. – გულახდილად ამბობს რეინალდი.

მთავარი გამოცდა პედროსს ჰქონდა ევრო-96-ზე, ინგლისში ძირითად შემადგენლობაში მას ზინედინ ზიდანს ამჯობინებდნენ, თუმცა, ჟაკე ყოველ მატჩში აძლევდა რეინალდს თავის გამოჩენის შანსს. პედროსმა ჩეხებთან გადამწყვეტი პენალტი „გააფუჭა“, რითაც ფრანგების წარუმატებლობის მთავარ მიზეზად იქცა.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ პედროსი მარსელის „ოლიმპიკში“ გადავიდა, სადაც დროებით „დაიკარგა“. წლეულს კი „პარმას“ ფლეიმეიქერად იქცა და საკმაოდ კარგად აუღო ალღო იტალიის „სერია A“-ს. აღსანიშნავია, რომ პედროსი დიდად პოპულარულია ქალებში. იგი ხომ საფრანგეთის ყველაზე სიმპათიურ ფეხბურთელად დაასახელეს 1996 წელს. (წლეულს ეს ღირსება ბერნარ დამამ (!) მიიღო).

რეინალდი ჯერ მხოლოდ 26 წლისაა. ასე რომ, კიდევ აქვს დრო, რათა მაღალი დონის ვარსკვლავად იქცეს. ასპარეზიც ფართო აქვს.

„პარმა“ ჩემპიონთა თასისთვისა და სკუდეტოსათვის ჯერჯერობით უნარიანად იბრძვის. რაც მთავარია, გაისად პედროსი შეეცდება საფრანგეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაშს და იქნებ, მსოფლიო ჩემპიონობასაც.

მოამზადა
**ილია ნანობაშვილმა**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### «ფიფაში უნდა გავიმარჯვო!»

უეფას აღმასკომის სხდომაზე გამოსვლისას მისმა პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა გააკეთა საკმაოდ უაპელაციო განცხადება იმის შესახებ, რომ მან აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს ფიფას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც გაიმართება საფრანგეთში, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ.

— თუ ვერ გავიმარჯვებ, რა თქმა უნდა, არ მოვკვდები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ფიფას სწორედ ევროპული პრეზიდენტი სჭირდება.

იუჰანსონი თვლის, რომ იგი სწორედ ფიფას იდეალური პრეზიდენტი იქნება. იგი 40 წელია ფეხბურთის სფეროში მუშაობს და, ამდენად, „ყველაფერი იცის“. როგორც შვედმა განაცხადა, მან იცის, რომ დაახლოებით 10 პიროვნება აპირებს მის კონკურენტობას, მაგრამ კონკრეტული კანდიდატურა ჯერჯერობით ოფიციალურად არავის წამოუყენებია.

### ბესტის დისწული დიდი ტალანტია

ასე მიიჩნევს ახლა რამდენიმე ინგლისური კლუბი, რომელიც ცდილობს დაეუფლოს ჩრდილო ირლანდიურ „ბანგორ სიტის“ 21 წლის თავდამსხმელ სტიუარტს მაკ ფერსონს. მან უკვე უარი ჰყო რამდენიმე წინადადება. და, ეტყობა, უკეთესი პირობების შემოთავაზებას უცდის... სტიუარტ მაკ ფერსონი დიდი ბრიტანეთის ყველა დროის №1 ფეხბურთელად აღიარებული ჯორჯ ბესტის დისწულია.

### «შავ სიაში» 700 გულშემატკივარი

700 თურქ გულშემატკივარს აუკრძალეს 1997-98 წლის საფეხბურთო სეზონში მატჩებზე დასწრება. ისინი „შავ სიაში“ შეიტანეს ხულიგნობისათვის, რაც მოთამაშეებსა და მსაჯებზე თავდასხმაში გამოიხატა. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყო ღონისძიების მთელი კომპლექსის განხორციელება, რომელიც მიმართულია ფეხბურთის სტადიონებზე ძალადობის აღმოსაფხვრელად.

### «ოსკარი» — იტალიელ ფეხბურთელებს

ამ სეზონიდან იტალიელი პროფესიონალი ფეხბურთელების ასოციაცია შემოიღებს განსაკუთრებულ ჯილდოებს, „ოსკარებს“ „სერია A“-ს მოთამაშეებისათვის. „სერია A“-ს ყველა ფეხბურთელს დაეგზავნება ანკეტა, სადაც უნდა დაასახელონ, მათი აზრით, ჩემპიონატის უძლიერესი მოთამაშეები. სულ 7 ნომინაციით მიენიჭებათ პრიზები. ესენია: „საუკეთესო მოთამაშე“, „საუკეთესო ლეგიონერი“ „საუკეთესო მწვრთნელი“, „საუკეთესო გუნდური თამაშის სტილი“, „საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე“, „საუკეთესო მეკარე“ და „საუკეთესო მსაჯი“.

### ურუგვაელზე ტაციაობაა

ამ ზაფხულს მალაიზიაში მსოფლიო ჩემპიონატში 20 წლამდე ახალგაზრდებს შორის თავი გამოიჩინა ურუგვაელმა ნიკოლას ოლივერამ (მისი ნაკრები კი მეორე ადგილზე გავიდა). ამის შემდეგ ჭაბუკზე ნამდვილი ტაციაობაა. მისი გადაბირება არც მეტი, არც ნაკლები, ათმა ცნობილმა ევროპულმა კლუბმა მოინდომა. მაგრამ „დეფენზორ სპორტინგი“, რომელშიც ოლივერა თამაშობს, მოცდას ამჯობინებს, რათა ახალგაზრდა ნახევარმცველის ფასი კიდევ უფრო გაიზარდოს.

### ჩინელები ევროპელებს ეპატიჟებიან

ამ ბოლო ხანებში ჩინელები ევროპელ ფეხბურთელებთან ერთად მწვრთნელებსაც ეპატიჟებიან. კლუბ „შანხაი შენხუაში“ მთავარ მწვრთნელად მუშაობს ცნობილი პოლონელი სპეციალისტი ანჯეი სტრეილაუ. იგი აპრილიდან, ჯერ ამ გუნდის კონსულტანტი იყო, ახლა კი სათავეში ჩაუდგა მას.

სტრეილაუ 1989-1993 წლებში პოლონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო, მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 54 მატჩი გამართა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ მენთეშაშვილი: ჩემი ოცნება ნაკრებში თამაშია!

*ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ბავშვთა ფეხბურთის, თუ ფეხბურთელების შესახებ. ამჯერად „ვაკე-91“-ის გუნდზე მოგითხრობთ, რომელიც თითქმის ერთწლიანი ვიზიტის შემდეგ დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კერძოდ, ლოს-ანჯელესიდან. ჩვენებურები იქ ვარჯიშობდნენ და რამდენიმე ტურნირშიც მიიღეს მონაწილეობა.*

*ამ ვოიაჟის შესახებ უფრო ვრცლად, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ზურაბ მენთეშაშვილი მოგითხრობთ, რომელსაც ინტერვიუ ჩამოვართვით.*

— უნდა აღინიშნოს, რომ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა ხელი შეუწყო ამ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებას და, რაც მთავარია, გაიზარდა ხალხის დაინტერესება ამ თამაშით. ბიზნესმენებმაც ხელი გამოიღეს და ფეხბურთში აბანდებენ თავიანთ კაპიტალს, რაც, უთუოდ სასიკეთოდ წაადგება საქმეს — გვითხრა საუბრის დასაწყისში ზურაბმა.

● ***რა ტურნირებში მიიღეთ მონაწილეობა?***

— რამდენიმე ასპარეზობიდან გამოვყოფდი „სან - დიეგოს“ და „კოპა-კალიფორნიის“ ტურნირებს. პირველი თასი ჯგუფური სისტემით თამაშდებოდა. იქ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. მეორე ტურნირში კი უკომპრომისო ბრძოლაში ფინალში დავმარცხდით, ისიც დამატებით დროში, მექსიკის „მონტერეისთან“. თუმცა, უნდა აღინიშნოს მექსიკელი არბიტრის არაობიექტური და მიკერძოებული მსაჯობა თავის თანამემამულეების სასარგებლოდ.

● ***როგორი იყო თქვენთვის ამერიკული დღის რეჟიმი?***

— რა თქმა უნდა, იქ დასასვენებლად არ ჩავსულვართ. პირიქით, ამერიკაში გატარებულმა დრომ დადებითად იმოქმედა, განსაკუთრებით ამაღლდა ჩვენი ფიზიკური კონდიციები. რაც შეეხება დღის რეჟიმს, 7 საათზე ვდგებოდით, დილით მსუბუქად ვვარჯიშობდით, კროსს დავრბოდით. შუადღით ვისვენებდით, საღამოთი კი ისევ ვვარჯიშობდით, ოღონდ, ბურთით, მინდორზე. 11 საათზე უკვე ვიძინებდით.

● ***საერთო პირობები როგორი გქონდათ?***

— საკმაოდ ნორმალური, მოკლედ, არაფერი გვაკლდა.

● ***მთელი გუნდის თითქმის ერთი წლით შენახვა ამერიკაში, ხუმრობა როდია, დიდ თანხებთანაცაა დაკავშირებული. ვინ იყო თქვენი სპონსორი?***

— არავითარი სპონსორი, ყველაფერი ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა ბატონმა კოტე დოლიძემ მოაგვარა, მისი დიდი მადლიერი ვართ. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ყველა ჩვენი ფეხბურთელის სახელით უდიდესი მადლობა გადავუხადო მას. ისე, უნდა აღინიშნოს ამერიკელი ხალხის თბილი დამოკიდებულება ჩვენდამი, გვეხმარებოდნენ კვების საკითხის მოგვარებაში ადგილობრივი ეკლესიის მღვდელ-მსახურნიც.

● ***სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?***

— ჯერჯერობით არაფერი გვაქვს გადაწყვეტილი. ისე, შეიძლება კვლავ შტატებში გავემგზავროთ. რაც შემეხება მე, ჩემს დარჩენა-არ დარჩენას გუნდში თუ სხვა კლუბში გადასვლას, ეს მწვრთნელებზეა დამოკიდებული.

● ***ამერიკაში ყოფნის პერიოდის რაიმე საინტერესო ამბავს ხომ არ გაიხსენებდით?***

— ერთ ამბავს გეტყვით. ბაზა, სადაც „ვაკე-91“-ის ფეხბურთელები ვიმყოფებოდით, ჰოლივუდთან ახლოსაა და ერთხელაც ოსკარების დაჯილდოების ცერემონიალს დავესწარი. მე ცნობილ მსახიობს ჯეიმს ვუდს ხელი გადავხვიე და ავტოგრაფიც ჩამოვართვი, ისევე, როგორც კიდევ ერთ ცნობილ ჰოლივუდელ მსახიობს ედი მერფს.

● ***რამდენადაც ცნობილია, ვახტანგ კოპალეიშვილმა მიგიწვია 18 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებში. როგორ ფიქრობ, საამისო გამოცდილება თუ გაქვს?***

— 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრებს ორი თამაშიღა დარჩა ჩასატარებელი. რა თქმა უნდა, შანსი არის იმისა, რომ მოვხვდეთ ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ ამისათვის დიდი ბრძოლა გვმართებს. რაც შეეხება ჩემს მიწვევას, ცხადია, ძალიან გამიხარდა. დიდი მადლობელი ვარ ბატონ ვახტანგის, რომ შანსი მომცა ქართველ გულშემატკივრებს, და არა მარტო მათ, ვაჩვენო ჩემი შესაძლებლობები და ნაკრებსაც გამოვადგე. სხვათა შორის, ნაკრებში პირველად არა ვარ მიწვეული — 1995 წელს ბატონ გაიოზ დარსაძის თავკაცობით გამოვდიოდი 16 წლამდე ნაკრებში. ამის შემდეგ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ბატონმა ვახტანგმა მიმიწვია 1978 წელს დაბადებულ მოზარდებში, ე.ი. ჩემზე ორი წლით დიდებში სულ ოთხ თამაშში მივიღე მონაწილეობა და, რა თქმა უნდა, გამოცდილებაც შევიძინე. არც ფეხბურთელებთან გამიჭირდება ადაპტაცია, ვინაიდან გუნდის ძირითადი ბირთვის თამაშს კარგად ვიცნობ, ზოგიერთებთან ერთადაც კი მითამაშია.

● ***საერთოდ, რა ამპლუაში თამაშობ?***

— ჩემი ამპლუა, თვითონ არ ვიცი. ყველგან მითამაშია, უფრო ხშირად მარჯვენა მცველად. ჩემთვის სასურველი, მგონია, მაინც ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაა. თუმცა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს და მწვრთნელის კომპეტენციაა, რომელ ფეხბურთელს სად დააყენებს.



ზურაბ მენთეშაშვილი (წინა პლანზე) კალიფორნიის თასის გათამაშების ერთ-ერთ მატჩში

● ***თქვენი აუხდენელი მიზანი?***

— ისე, როგორც ყველა ფეხბურთელისათვის, ჩემთვისაც უდიდესი პატივი და ბედნიერება საქართველოს ნაკრების მაისურის მორგება იქნება. თუმცა, ჯერ ყველაფერი წინა მაქვს და მიზნის სისრულეში მოყვანა სავსებით შესაძლებელია.

● ***გისურვებთ წარმატებას!***

— გმადლობთ!

ესაუბრა
ბოგა ლომიძე

## ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები ფეხბურთში ● ამბები

### ინგლისი

XII ტური

ცხადია, ყველაზე საინტერესო ქართველი გულშემატკივრებისთვის ამ ტურში „ნიუკასლი“ — „ბლექბერნის“ მატჩი იყო. თემურ ქეცბაიამ 90 წუთი დაჰყო მინდორზე. მატჩის დებიუტი „ნიუკასლს“ კარგს არაფერს უქადდა: სტუმართა მოიერიშეებმა რიპლიმ და სატონმა ანგარიშის გახსნის ხელსაყრელი მომენტები გაუშვეს ხელიდან. ტაიმის შუაწელში ქეცბაიამ ტომასონთან „კედელი“ გაითამაშა და ძლიერადაც დაარტყა „ბლექბერნის“ კარში, მაგრამ არაზუსტად, სამაგიეროდ, ჩვენებურმა ორიოდე წუთში მაინც ისახელა თავი — ცენტრალურ ხაზთან მყოფმა მშვენიერი გრძელი პასით პრაქტიკულად სტუმართა გუნდის მეკარესთან პირისპირ გაიყვანა კეით გილესპი, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩში გამოიჩინა თავი. „ბლექბერნმა“ მეორე ტაიმში სატონის წყალობით მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება და ნიუკასლიდან ქულის წაღება.



ნიუკასლი – ბლექბერნი. გილესპიმ (ზოლიან მაისურში) კვლავ გოლი გაიტანა

*სხვა მატჩები:* მანჩესტერ იუნაიტედი — ბარნსლი 7-0, ლივერპული — დერბი ქაუნთი 4-0, საუთჰემპტონი — ტოტენჰემი 3-2, შეფილდი — კრისტალ პალასი 1-3, უიმბლდონი — ლიდსი 1-0, ქოვენთრი — ევერტონი 0-0, არსენალი — ასტონ ვილა 0-0, ბოლტონი — ჩელსი 1-0.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 23-6 | 25 |
| არსენალი | 12 | 6 | 5 | 0 | 27-10 | 23 |
| ბლექბერნი | 12 | 6 | 5 | 1 | 22-10 | 23 |

*ბომბარდირები:* სატონი (ბლექბერნი), ბერგკამპი (არსენალი) — 10, რაითი (არსენალი) — 9.

### გერმანია

XI ტური

ბაიერნი — ვერდერი 2-0, კაიზერსლაუტერნი — დუისბურგი 1-0, დორტმუნდი — ჰანზა 3-2, ჰამბურგი — მიუნხენ-1860 1-2, ვოლფსბურგი — არმინია 2-0, შალკე-04 — ბოხუმი 2-0, ჰერტა — კარლსრუე 3-1, მიონხენგლადბახი — ბაიერი 2-2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი | 12 | 9 | 2 | 1 | 25-12 | 29 |
| ბაიერნი | 12 | 7 | 4 | 1 | 27-13 | 25 |
| შალკე-04 | 12 | 6 | 3 | 3 | 14-12 | 21 |

*ბომბარდირები:* მარშალი (კაიზერსლაუტერნი) — 11, ვინკლერი (მიუნხენ-1860) —8, ბობიჩი (შტუტგარტი) — 7.

### საფრანგეთი

XII ტური

პსჟ — ლანსი 2-0, მეცი — მონპელიე 0-1, ბასტია — ოლიმპიკი 1-1, ლიონი — ტულუზა 0-0, რენი — სტრასბურგი 3-1, შატორიუ — გენგამი 2-2, კანი — ლე ჰავრი 1-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 13 | 9 | 3 | 1 | 28-10 | 30 |
| მეცი | 13 | 8 | 2 | 3 | 20-11 | 26 |
| ბორდო | 12 | 8 | 2 | 2 | 19-13 | 26 |

*ბომბარდირები:* გივარში (ოსერი) — 8, რაი, მორისი, სიმონე (ყველა — პსჟ), იკპება (მონაკო) — 7.

### ესპანეთი

XIII ტური

დეპორტივო — სელტა 1-1, ბარსელონა — რასინგი 2-0, სოსიედადი — მერიდა 2-1, ბეტისი — კომპოსტელა 1-0, ვალენსია — ოვიედო 1-1, სალამანკა — სარაგოსა 1-2, სპორტინგი — ატლეტიკი 1-2, ტენერიფე — ვალიადოლიდი 1-0, ატლეტიკო — ესპანიოლი 0-2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 8 | 7 | 1 | 0 | 20-6 | 22 |
| რეალი | 7 | 5 | 2 | 0 | 12-1 | 17 |
| რეალ-სოსიედადი | 8 | 5 | 1 | 2 | 14-8 | 16 |

*ბომბარდირები:* ვიერი (ატლეტიკო) — 7, რივალდო, ლუის ენრიკე (ორივე — ბარსელონა), გარიტანო (სარაგოსა) — 6.

### ჰოლანდია

XII ტური

ცენტრალური შეხვედრა „აიაქსი“ — „ფეიენოორდი“ იყო. შოთა არველაძემ ბოლომდე ითამაშა და ჰოლანდიური გაზეთების ცნობით, ყველაზე საუკეთესო იყო მინდორზე. 30-ე წუთზე ლიტმანენის პასით შოთა ხელსაყრელ პოზიციაზე გადის, მაგრამ მცველმა სარმა გამოსდო. პენალტი ლიტმანენმა გამოიყენა. 12 წუთის შემდეგ ვიჩხეს გადაცემის შემდეგ ჩვენებური მეკარესთან პირისპირ გადის და ანგარიშს 2-0-მდე ზრდის. მეორე ტაიმში არველაძის გადაცემის შემდეგ დანიმ კიდევ ერთი გოლი გაიტანა. მატჩის მიწურულს შოთამ კიდევ ერთი შედეგიანი პასი შეასრულა და რონალდ დე ბურმა საბოლოო წერტილი დაუსვა ანგარიშს — 4-0.

*სხვა მატჩები:* ეინდჰოვენი — მაასტრიხტი 5-0, გრააფსხაპი — ჰერენვენი 1-2, უტრეხტი — ნაიმეგენი 2-4, სპარტა — გრონინგენი 1-1, ვალვაიკი — ვოლენდენი 1-1, ტვენტე — როდა 1-2, ვიტესი — სიტარდი 1-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 11 | 11 | 0 | 0 | 42-3 | 33 |
| ეინდჰოვენი | 12 | 8 | 4 | 0 | 39-12 | 28 |
| ჰერენვენი | 12 | 7 | 3 | 2 | 20-12 | 24 |

*ბომბარდირები:* მახლასი (ვიტესი) — 12, შოთა არველაძე (აიაქსი), დე ნოიერი (სპარტა) — 8.

## რომარიო: „ჩემი მთავარი მიზანი მსოფლიო ჩემპიონატია“

31 წლის რომარიოს კვლავინდებურად დიდი ამბიციები აქვს. იგი აპირებს კვლავ გაიმეოროს 1993-1994 წლების სეზონის წარმატებები, როდესაც „ბარსელონას“ შემადგენლობაში მსოფლიოს №1 ფეხბურთელი გახდა. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში იგი ბრაზილიის ნაკრებთან ერთად ოქროს მედალს დაეუფლა და ამ წარმატებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა. ახლა იგი ორ მიზანს ისახავს. პირველია „ვალენსიასთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონობისათვის ბრძოლა, მაგრამ მთავარი მაინც, რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონობის შენარჩუნებაა.

– საფრანგეთში შევეცდები დავამტკიცო, რომ ისევ ის რომარიო ვარ. დიდი მატჩები უმნიშვნელოვანესი გოლებით ჯერ კიდევ მელის.



იოზეფ ბლატერი

## 4 დეკემბერს იოზეფ ბლატერი კენჭისყრას ჩაატარებს

*საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში განთესილი 8 უძლიერესი გუნდის ვინაობა ბოლომდე გარკვეული არაა. ფიფას გენერალური მდივნის იოზეფ ბლატერის განცხადებით, განთესვის კრიტერიუმად მიიღება ბოლო ორი მსოფლიო ჩემპიონატსა და კონტინენტურ შეჯიბრებებში ნაჩვენები შედეგები, აგრეთვე ფიფას ყოველთვიური რეიტინგი.*

*ბლატერის მტკიცებით, რამდენიმე გუნდის განთესვა ეჭვს არ იწვევს. ესენია: ბრაზილია, საფრანგეთი, არგენტინა, გერმანია, იტალია (თუ რუსეთის ბარიერს დაძლევს და საფრანგეთის საგზურს მოიპოვებს) და ესპანეთი. დარჩენილ ორ ადგილზე პრეტენზიას ინგლისი, რუმინეთი და დანია აცხადებენ. თუმცა, ბლატერის აზრით, ერთ-ერთი განთესილი გუნდი შეიძლება აფრიკულიც იყოს (ალბათ ეს ნაკრები ნიგერიისა იქნება).*

*გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში რვა ჯგუფად დაყოფილი 32 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. როგორც ვიტყობინებოდით, კენჭისყრის საზეიმო ცერემონია 4 დეკემბერს მარსელის „ველოდრომის“ სტადიონზე გაიმართება: ჯერ თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება ამხანაგური მატჩი ევროპისა და დანარჩენ მსოფლიოს ნაკრებებს შორის, ხოლო, თვით კენჭისყრა 23 საათზე გაიმართება.*

# რა ხდება ქვეყანაზე

## როდის გაისტუმრებს ვალს. როდის დაიწყებს თამაშს?

შტეფი გრაფი ჯერ კიდევ შარშან მსოფლიოში №1 ჩოგბურთელი ქალი იყო, წელს კი მთელი სეზონი გაუცდა. მუხლის ტრავმა, მამის, პეტერ გრაფის ხელმეორე გამტყუნება გადასახადის გადაუხდელობისათვის და ციხეში დაბრუნება, უსიამოვნება კათოლიკურ ეკლესიასთან — ყოველივე ამან ძალიან იმოქმედა განთქმულ ჩოგბურთელზე.

კათოლიკურ ეკლესიასთან უთანხმოების საკითხი მაინც შედარებით ახალია შტეფი გრაფის ცხოვრებაში. აი, საბოლოოდ რა გაირკვა — მას 1990 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად უნდა გადაეხადა დაახლოებით 300-500 ათასი მარკის ოდენობის საეკლესიო გადასახადი. სინამდვილეში კი გადარიცხულია დაახლოებით ამ თანხის მესამედი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მამამისს, პეტერ გრაფს უნდა გაეკეთებინა, რომელიც უძღვებოდა შვილის ფინანსურ საქმეებს. რახან პეტერი კვლავ ციხეშია და თანაც კარგა ხნით, ახლა თვით შტეფის მოსთხოვეს ერთ მილიონ მარკაზე მეტის გადახდა. მან ამ თანხის შემცირება ითხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

მუხლის ოპერაციის შემდეგ შტეფი, ასე თუ ისე, გამოჯანმრთელდა და ახლა ვარჯიშობს. იგი ესოდენ დიდი პაუზის შემდეგ მსოფლიო კლასიფიკაციაში მეცამეტე ადგილამდე ჩამოქვეითდა, რაც, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ასახავს ამ განთქმული ოსტატის ნამდვილ ძალას. ჯერ გრაფი აპირებდა სატურნირო გამოსვლები მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშით (17-23 ნოემბერი) განეახლებინა, მაგრამ ჩათვალა, რომ ახლა სათანადოდ მაინც არ არის მზად. ამიტომ პირველი დიდი ტურნირი, სადაც შტეფი გამოვა, „ავსტრალიენ ოპენი" იქნება, „დიდი სლემის" ჩათვლაში შემავალი შეჯიბრება, რომელიც იანვარში იმართება. მანამდე კი იგი სათანადო მზადყოფნის აღსადგენად რამდენიმე პატარა ტურნირში ითამაშებს. თვით გრაფმა განაცხადა, რომ ძალიან მოენატრა თამაში და ჯერჯერობით სულაც არ აპირებს ფარხმალის დაყრას. იგი თვლის, რომ ჩოგბურთში წამყვან ადგილს კიდევ რამდენიმე წელს შეინარჩუნებს.

გავიხსენოთ, რომ შტეფი გრაფი ერთადერთი მოქმედი ჩოგბურთელია, რომელსაც „დიდი სლემი" აქვს მოპოვებული. სულ კი შტეფიმ მოიგო „დიდი სლემის" ჩასათვლელი 21 ტურნირი, მიზანს კი (4 ტურნირის მოგება ერთ წელიწადში) მხოლოდ ერთხელ მიაღწია. გერმანელი ჩოგბურთელის სატურნირო წარმატებები საერთოდ განსაცვიფრებელია — ერთეულთა თანრიგში მას 103 პირველი პრიზი აქვს მოპოვებული.

# ფორმულა-1:

## კანადელი ჩემპიონია!


ჟაკ ვილნევი

კვირას ესპანეთის ავტოდრომ „ხერესზე" ახალი მსოფლიოს ჩემპიონი გამოვლინდა — კანადელი მრბოლი **ჟაკ ვილნევი.** ვიტყობინებოდით, რომ ბოლო, XVII ეტაპის (ევროპის დიდი პრიზი) წინ ჩემპიონატში სიტუაცია დაძაბული იყო: უძლიერესის ტიტულის მოსაპოვებლად გერმანელ მიხაილ შუმახერს და კანადელ ჟაკ ვილნევს თანაბარი შანსი ჰქონდათ, ეგაა, ორივეს მეტოქეზე წინ უნდა დაემთავრებინა ასპარეზობა.

სტარტიდან გერმანელი დაწინაურდა, ხოლო ვილნევი ფრენცენის შემდეგ მესამე პოზიციაზე „მოკალათდა". თანდათან ჟაკმა ტემპს უმატა და შუმახერს „თვალში ჩაუჯდა". 48-ე წრეზე კანადელმა მეტოქეს გადაუსწრო კიდეც, ხოლო შუმახერის ბოლიდი ტრასის მიღმა დარჩა.

პირადი პირველობის საბოლოო შედეგები: 1. ვილნევი — 81 ქულა, 2. შუმახერი — 78, 3. ფრენცტენი — 42.

# ცურვა — ფეხისადგმამდე

აშშ-ში ისეთ ადგილებსაც შეხვდებით, სადაც საზაფხულო სეზონი პრაქტიკულად მთელ წელიწადს გრძელდება. აი, თუნდაც ფლორიდის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში, მილიონიანი ქალაქის ჯექსონვილის ახლოს, ლეიკ— პლესიდში... ატლანტიკის სანაპიროს ფართო ზოლის გასწვრივ გადაჭიმულა „საგარაკო დასვენების" ზონა. აქ ნამდვილი სამოთხე ყოფილა გოლფის, ჩოგბურთის, ცურვის მოყვარულთათვის. ცურვა ვახსენეთ და, გავიხსენოთ: ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც მრავალი ბავშვი ფეხის ადგმის უმალ... ცურვას სწავლობს.

პაწიებისათვის სწავლის ყველაზე მისაწვდომი პროგრამა სამ კვირაზეა თურმე გაანგარიშებული. კვირაში ხუთჯერ ბებიებსა თუ ახალგაზრდა დედებს აღნიშნული ზონის ერთ-ერთ აუზში მიჰყავთ, უფრო ზუსტად, „მიაქვთ" თავისი ბუთხუზები მწვრთნელ ქალბატონთან. მეცადინეობა სულ ათ წუთს გრძელდება და აგერ, ერთი „ბაყაყუნა" დიდებულად ჩერდება წყალზე და პირველი მეტრების გადალახვას ცდილობს. იმ დროს, როცა რომელიმე ჩვილი წყალშია მწვრთნელთან ერთად, მეორე ნაპირზე „ემზადება". მასწავლებელი ქალბატონი ადრე თურმე ურიგოდ როდი გამოდიოდა კოლეჯის მოცურავეთა სახელით, შემდეგ კი ძუძუმწოვარა ბავშვთათვის ცურვის სწავლების საერთო სახელმწიფო პროგრამის სპეციალური კურსი გაუვლია. მისი მოწაფეების ასაკი ერთ წელს არ აღემატება. კურსზე მეცადინეობა კვირაში 45 დოლარი ღირებულა. აქ შედის მწვრთნელის საზღაური და აუზში შესვლის ფასი, სადაც (ესე იგი, აუზში) შეიძლება დარჩე და ბავშვთან ერთად იცურავო. შესადარებლად: მდიდართათვის სპორტის ერთი გაკვეთილი 30-40 დოლარი ღირს — გოლფი იქნება, ჩოგბურთი თუ ფიგურული სრიალი...

ვიოცნებოთ (ოცნებას კაცი არ მოუკლავს!) — აყვავებული საქართველო აუზებით არის მოფენილი, თან ისე ჰქვიანად ვართ, რომ წყალსაც გვისხამენ (საცურაო ტემპერატურიან წყალს!). აუზებში ერთი ციცქნა შვილები და შვილიშვილები მიგვყავს, რომ სიარულზე ადრე ცურვა ისწავლონ; რასაკვირველია, კვირაში 45 დოლარის გადახდის თავიც გვაქვს...

თამაზ ებანოიძე

# პარსკვლავის ახალი სახლი

***მარტინა ჰინგისმა, რომელიც წლევანდელი შემოსავლით მხოლოდ პიტ სამპრასს თუ ჩამორჩება, ციურიხის ახლოს, სოფელ რეგენდორფში იყიდა მამული 3700 მეტრის მოცულობით, ვილაში, რომელსაც გადახურული აუზი და მიწისქვეშა გარაჟი აქვს, ჰინგისმა 1,7 მილიონი დოლარი გადაიხადა.***


მარტინა ჰინგისი

# ირანელ ქალებს სპორტში ტაბუ მოეხსნათ

ირანში, თუ გავიხსენებთ, 1979 წელს იმ ქვეყნისათვის — და არა მარტო მისთვის — ერთობ მნიშვნელოვანი ისლამური რევოლუცია მოხდა. აი, ამ რევოლუციიდან მხოლოდ 18 წლის შემდეგ ალაპარაკდნენ იქ სპორტულ ღონისძიებებში ქალთა მონაწილეობის თაობაზე.

ცნობილი გახდა, რომ კულტურული რევოლუციის უმაღლესმა საბჭომ (მას თავად ირანის პრეზიდენტი მოჰამედ ჰატამი მეთაურობს) გამოსცა დირექტივა; დოკუმენტში ლაპარაკია იმაზე, რომ აუცილებელია ქვეყანაში სპორტის ქალთა სახეობების განვითარების ხელშეწყობა. დირექტივის თანახმად, ირანი მოწოდებულია სხვა ისლამურ ქვეყნებს უჩვენოს მაგალითი, თუ როგორ უნდა ჩაერთნენ ქალები სპორტულ ცხოვრებაში.

თამაზ ილმელი

## „დიპ ბლიუ" — ანანდი?

მას შემდეგ, რაც საოცარი ძალის კომპიუტერმა „დიპ ბლიუმ" მაისში 6 პარტიისაგან შემდგარ მატჩში სძლია მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს (3,5; 2,5), მისმა მეპატრონემ კორპორაცია კი-ბი-ემმა აღარ მოინდომა ხელახალი, მესამე შეხვედრის მოწყობა, თუმცა კასპაროვი თანახმა იყო.

ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება „დიპ ბლიუს" ასეთივე მატჩის მოწყობის შესახებ გამოჩენილ ინდოელ დიდოსტატ ვიშვანათან ანანდთან. ანანდი, სხვა ყველაფერთან ერთად, იმითაცაა ცნობილი, რომ თამაშობს ელვის სისწრაფით და საერთოდ არ იცის, რა არის ცაიტნოტი. იგი აქამდე იოლად უსწორდებოდა ყველა კომპიუტერს, მართალია, არც ისე ძლიერებს, როგორც „დიპ ბლიუ" გახლავთ.

# სპორტლოტოს შედეგები

26 ოქტომბერს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36"-დან გათამაშების 43-ე ტირაჟი, დაშვებული იყო 4790 ვარიანტი.

**მოგებახვედრილი ციფრები:**

**3, 36, 9, 35, 5.**

5 ციფრი ვერავინ ამოიცნო. 4 ციფრის ამოცნობისათვის (1 ვარიანტი) — 179.60 ლარი. 3 ციფრისათვის (53 ვარიანტი) — 4.50 ლარი. მოგებები განაღდდება 29 ოქტომბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით.

მორიგი, 44-ე ტირაჟისთვის, რომელიც გაიმართება 2 ნოემბერს, „ჯეკპოტი" შეადგენს 4717 ლარს. ამასთან ერთად, გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

**„სპორტპროგნოზის" მოყვარულებს ვთავაზობთ მორიგი ტირაჟის პროგრამას:**

**22-ე ტირაჟი (4 ნოემბერი)**

**უეფას თასი (1/16 ფინალი)**

**1. დინამო (საქართველო) — ბრაგა (პორტუგალია)**

**2. უდინეზე (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია)**

**3. ლივერპული (ინგლისი) — სტრასბურგი (საფრანგეთი)**

**4. ლიონი (საფრანგეთი) — ინტერი (იტალია)**

ბილეთების „ბ" ნაწილების ჩაბარების ბოლო ვადაა: რეგიონებში — 30 ოქტომბერი, თბილისში 3 ნოემბრის 12 საათამდე.

გიწვევთ ტრადიციული სპორტული ლატარიების გათამაშებაში

წარმატება მხოლოდ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი


5


34


1


3


5

**თარაზულად:** 1. სპორტული ინვენტარი, 3. ცხენების შეჯიბრება ჭენებაში გრძელ დისტანციაზე, 5. წარსულში გამოჩენილი ქართველი ძიუდოისტი *(ფოტო)*, 7. რუსი მოციგურავე სპრინტერი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 8. ფრანგი სამთო მოთხილამურე ქალი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 11. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 12. მსოფლიოს II და XIV საფეხბურთო ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყანა, 13. მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი, 14. ქართული საფეხბურთო კლუბი, 16. საფრანგეთის საკალათბურთო კლუბი, 18. სპორტული საბრძოლო იარაღი, 20. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 21. გამოჩენილი არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთში, 25. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, ოლიმპიური ჩემპიონი, 26. „დერბი ქაუნთის" იტალიელი ფეხბურთელი, 27. გერმანიის ბუნდესლიგაში მოასპარეზე რუსი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 28. კიევის „დინამოსა" და სსრ ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 30. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის, 32. სპორტული შეჯიბრების დაწყების მომენტი, 34. წარსულში ცნობილი რუსი სპორტული კომენტატორი *(ფოტო)*, 35. წარსულში გამოჩენილი ქართველი მოკრივე, 36. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 37. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 38. ინდოელი მოჭადრაკე ვაჟი.

**შვეულად:** 1. ქართველი ძალოსანი *(ფოტო)*, 2. „ატლეტიკოს" საფეხბურთო მწვრთნელი, 3. წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მეკარე *(ფოტო)*, 4. მეხიკოს ოლიმპიური სტადიონი, 5. გამოჩენილი ინგლისელი სპრინტერი, ოლიმპიური ჩემპიონი *(ფოტო)*, 6. სომეხი მძლეოსანი, ევროპის ექს-რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში, 7. ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 9. რუსი ფეხბურთელი, 1960 წლის ევროპის და მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, 10. რუმინელი მძლეოსანი ქალი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში. 14. თბილისის „დინამოს" და საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი, 15. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 16. ფრანგი ჩოგბურთელი, 17. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე, 1964 წლის ევროპის ჩემპიონი, 18. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 19. ზაფხულის 1 ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 22. ესპანელი ფეხბურთელი, 1964 წლის ევროპის ჩემპიონი, 23. არგენტინელი ავტომრბოლი, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი, 24. გამოჩენილი ქართველი მკლავჭიდელი. 28. რუსი კალათბურთელი, მიუნხენის ოლიმპიადის ფინალური მატჩის გმირი, 29. „იუვენტუსის" და იტალიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 30. ზამთრის XI ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 31. ქართული საფეხბურთო კლუბი, 32. ჩეხეთისა და ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 33. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ფეხბურთში.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

# კროსვორდი



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 2. ამანსიო, 7. მოჭადრაკე, 12. ისარი, 20. ნავრატილოვა, 28. ატლანტა, 35. ამორო, 38. ბადრო, 42. ალბერტი, 48. იაგორაშვილი, 55. ოკოჩა, 60. მარტინესი, 66. მეტიუზი.

**შვეულად:** 3. ნოდია, 20. ნაცვლიშვილი, 21. აუგენტალერი, 22. „კრემონეზე", 25. „სამპდორია", 26. ორლანდო, 28. ანგლომა, 30. არბიტრი, 32. რუდოლფი, 33. იპონი, 34. ბუბკა, 56. ონილი.

**დიაგონალურად:** 1-12. კემპი, 5-16. რიდლე, 10-23. დეინა, 14-33. ჰოკეი, 15-28. ანძა, 27-8. რონალდო, 13-4. ილეთი, 17-6. ეკელი, 24-11, ბლიცი, 34-19. ბესტი, 30-18. „არაუ", 9-31. კაკულია, 36-29. ლამა, 36-43. ლუკე, 29-37. აუზი, 43-37. ეტლი, 49-39. სნელი, 58-46. შირეა, 63-51. კორეა, 65-55. სამბო, 50-42. რივა, 41-61. ზვერევა, 57-67. „არისი", 52-64. ონევა, 47-59. მესხი, 40-54. აგასი, 44-53. ილიე, 62-45. სანეევი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ეb8!
1. ...მფc7 2. კf4+ მფd7 3. c6X!
1. ...მb6 2. cb მფd6 3. ეd8X!
1. ...მc7 2. c6+ მფd6 3. ეd8X!

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე